დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების 2022 წლის ანგარიში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

22 მარტი, 2023 წელი

სარჩევი

1. სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო 2
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 19
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 19
4. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 32
5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 36

შესავალი

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეების დასაქმებას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებას, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კანონი აწესრიგებს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებულ სახელმწიფო საქმიანობას, განსაზღვრავს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პასუხისმგებელი ინსტიტუტების 2022 წლის 1 აპრილიდან განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას.

1. სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

1. ძირითადი ინფორმაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) შეიქმნა 2019 წლის 31 ოქტომბერს და ფუნქციონირებს 2020 წლის პირველი იანვრიდან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო უზრუნველყოფს, სამინისტროში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში, შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას, რომელიც ემსახურება ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.

2022 წელს სააგენტომ უზრუნველყო საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვალს №81 დადგენილებით დამტკიცებული ,,დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, რომელიც მოიცავს 3 ქვეპროგრამას, ესენია:

ა) ,,დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;

ბ) ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარებით/გაძლიერებით, სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით დასაქმების ხელშეწყობა;

გ) ,,საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია, სოციალურად დაუცველი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება მათი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობისა და სოციალური დაცვის/დახმარების უზრუნველყოფის გზით.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო ქვე-პროგრამების ფარგლებში სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის სტატისტიკის შეჯამება 2020-2022 წლის ფარგლებში:

- შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტრირებულია **355 987** სამუშაოს მაძიებელი, აქედან **2022 წელს** დარეგისტრირდა 5 978 აქტიური სამუშაოს მაძიებელი.[1]
- ინდივიდუალური კონსულტირება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, მათ შორის თბილისის რაიონულ სერვის ცენტრებში, გაეწია **80 092** სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის:
    - **8773** სამუშაოს მაძიებელს ადგილობრივ ღია შრომის ბაზარზე დასაქმების მიზნით, აქედან **3 165** პირის კონსულტირება მოხდა 2022 წელს.
    - ხოლო 71 319 სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელს კონსულტირება გაეწია მუნიციპალურ დონეზე, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მიზნით. (აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაიწყო 2022 წლიდან).

- მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა 477 შშმ პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება, აქედან 245 შშმ პირს 2022 წელს.
- კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება გაეწია 5565 სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის 132 - სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. აქედან **3 640**- 2022 წელს.
- საშუამავლო მომსახურება მიეწოდა **7 066** სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის **2 263** - 2022 წელს.
- ჩატარებულია **27** დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო **500** - მდე დამსაქმებელმა და **4 000** -ზე მეტმა სამუშაოს მაძიებლებმა. აქედან 2022 წელს ჩატარდა **14** ფორუმი სადაც მონაწილეობა მიიღო **150** -ზე მეტმა დამსაქმებელმა და **2 000** ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა.
- სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო **60** დამსაქმებელი და 449 სამუშაოს მაძიებელი (სტაჟიორი), მათ შორის 2022 წელს - 33 დამსაქმებელი და 283 სამუშაოს მაძიებელი. სტაჟირების პროგრამაში მონაწილე დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი წლიდან წლამდე მზარდია.

---

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად ვორკნეტზე რეგისტრაცია სავალდებულო იყო ყველა იმ პირისვის, ვისაც შევსებული ჰქონდა განაცხადი მიზნობრივი სოციალური შემწეობის მიღების თაობაზე. აქედან გამომდინარე, ვორკნეტში დარეგისტრირებული პირების დიდი ნაწილი არ გახლდათ აქტიური სამუშაოს მაძიებელი. 2020 წლის მარტის თვიდან, აღნიშნული ვალდებულება მოიხსნა, შესაბამისად შემდგომ პერიდებში იკლო ვორკნეტში რეგისტრაციის ინტენსივობამ და რეგისტრაციაზე მოგვმართავენ პირები, ვისაც ნამდვილად სურს დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა და შემდგომ დასაქმება.

- ხელფასის სუბსიდირების პროგრამაში ჩაერთო **14** დამსაქმებელი და 14 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის 2022 წელს **6** დამსაქმებელი და 6 სამუშაოს მაძიებელი.
- პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიან პროგრამებში მონაწილეობა მიიღო **5 039** სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის **2 517** მაძიებელმა-2022 წელს.
- საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა მიიღო **1 547** სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის 2022 წელს - **727**.

2020-2022 წლებში, სააგენტოს ხელშეწყობით ღია შრომის ბაზარზე დასაქმდა 17 365 სამუშაოს მაძიებელი, აქედან **12 645** - 2022 წელს. გარდა ამისა, **29 323** სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელს მიეცა შესაძლებლობა ემუშავა საზოგადოებრივ სამუშაოებზე (პროგრამა ამოქმედდა 2022 წლის პირველი მარტიდან), ხოლო **1 539** პირზე გაიცა სამუშაო ნებართვა გერმანიის დასაქმების სააგენტოს მიერ, გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მიზნით, ხოლო **18 პირი დასაქმდა** ისრაელში ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში (ისრაელში დროებითი, ლეგალური დასაქმების სქემა ამოქმედდა 2022 წლის მეორე ნახევარში.)

შემდგომ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს დეტალურ ანგარიშს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების შინაარსზე, სამიზნე ჯგუფებსა და მიღებულ შედეგებზე.

2. სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, პროფილირება და კონსულტირება

სამუშაოს მაძიებელთა ძირითადი რეგისტრაცია ხორციელდება შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში www.worknet.gov.ge.

2022 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 5 978 სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის ქალი გახლდათ 3 821, ახალგაზრდა - 1 821, ხოლო შშმ პირი-213. თუ შევხედავთ რეგისტრირებულთა განაწილებას თბილისსა და რეგიონებში, ვნახავთ რომ თბილისსა და იმერეთში ყველაზე მეტი რაოდენობის რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი გვყავს.

სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა **3 165** სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის, ქალი - **2 084**, ახალგაზრდა - **1 019**, შშმ პირი-**234**.

ინდივიდუალური კონსულტირების დროს ხდება სამუშაოს მაძიებლის პროფილირება და მისი დასაქმების შესაძლებლობების შეფასება. პროფილირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეფასების მეთოდოლოგია შემუშავებულია ევროკავშირის პროგრამის "skills4jobs" ფარგლებში არსებული ტექნიკური დახმარების ჯგუფის ექსპერტების მიერ. მეთოდოლოგიის გადახედვა და განახლება ხდება ყოველწლიურად, არსებულ საჭიროებებზე მისადაგების მიზნით.

შეფასების შედეგად სამუშაოს მაძიებლები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად:

1. დასაქმებულია და ეძებს უკეთეს სამუშაოს.

2. უმუშევარია და საჭიროებს მხარდაჭერას.

თავის მხრივ, სამუშაოს მაძიებელთა მეორე ჯგუფი იყოფა 3 ქვე-ჯგუფად, ესენია: A კატეგორია, რომელსაც გააჩნია შრომის ბაზრისთვის საჭირო უნარები და სააგენტო უწევს საშუამავლო მომსახურებას და ამისამართებს დამსაქმებელთან. B და C კატეგორიებს მიეკუთვნებიან ის სამუშაოს მაძიებლები, რომლებსაც სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა შეძლონ შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია, თუნდაც კონკურენციის არსებობის პირობებში.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ სამუშაოს მაძიებლებს სააგენტო სთავაზობს საშუამავლო მომსახურებას, რომლის ფარგლებში მათ ეგზავნებათ ინფორმაცია ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე ეგზავნებათ მოსაწვევი მასობრივ გასაუბრებებსა და დასაქმების ფორუმებზე, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.

A კატეგორიის სამუშაოს მაძიებლებს სააგენტო სთავაზობს კონსულტირებას დასაქმების მიმართულებით და ასევე საშუამავლო მომსახურებას.

B და C კატეგორიებს მიკუთვნებულ სამუშაო მაძიებლებს კონსულტანტები სთავაზობენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კონსულტაციებს, ასევე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმის შედგენას და გეგმის მიხედვით კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვას.

გარდა ინდივიდუალური კონსულტაციებისა, სააგენტო, სამუშაოს მაძიებლებს სთავაზობს ჯგუფურ კონსულტაციებს, რა დროსაც ხდება ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი ინფორმაციის მიწოდება, ასევე კონსულტაციები ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მოძიების, მასზე გამოხმაურებისა და დამსაქმებლებთან ინტერვიუების კუთხით პრაქტიკული რჩევების მიწოდების მიზნით. ჯგუფური კონსულტაციის ინსტრუმენტი ასევე წარმატებულად დაინერგა „პროფესიული გადამზადების ცენტრის“ ბენეფიციარებთან (მსჯავრდებულებთან). სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის მიერ გაკეთებული „უვადო მსჯავრდებულთათვის გათავისუფლების მოსამზადებელი“ პროგრამის ფარგლებში ჯგუფური კონსულტირებები ჩატარდა მე-5, მე-6, მე-8 და ქსნის დაწესებულებაში, უმეტესწილად ჯგუფებად დაყოფილ მსჯავრდებულებთან. შედეგად, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სულ 26 უვადო მსჯავრდებულმა.

3. სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში ჩართვა ხორციელდება კარიერული კონსულტირებისა და პროფესიული ორიენტაციის შედეგების გათვალისწინებით, რა დროსაც ფასდება სამუშაოს მაძიებლის პროფილი, მისი დასაქმების შესაძლებლობები, დგება პროფესიული და კარიერული განვითარების ინდივიდუალური გეგმა. აღნიშნულ გეგმაში კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მიერ, სამუშაო მაძიებელთან შეთანხმებით, იწერება ის პროგრამები, რომელიც კონკრეტულ პირს ესაჭიროება პროფესიული

განვითარებისთვის, მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვისა და საბოლოოდ წარმატებულად დასაქმებისთვის. სწორედ ამიტომ, სამუშაოს მაძიებელთა ჩართვას კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებში წინ ყოველთვის უსწრებს კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კონსულტაცია შესაბამისი სპეციალისტის მიერ. 2022 წელს აღნიშნული კონსულტაცია ჩაუტარდა **3 640** სამუშაოს მაძიებელს, მათ შორის ქალი გახლდათ **2 624** პირი, ახალგაზრდა - **1 147**, ხოლო შშმ პირი **- 159.**

აღსანიშნავია, რომ სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ბენეფიციარებსაც მიეწოდათ კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის კონსულტაცია ონლაინ რეჟიმში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ზემოთ აღნიშნული სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულებმა, ჯამში **132** უვადო მსჯავრდებულმა.

საკვანძო კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სამუშაოს მაძიებლებში ე.წ. „რბილი უნარების“ განვითარებისთვის. საკვანძო კომპეტენცია წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებებისაგან შემდგარ ერთობლიობას, პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისთვის, სოციალური ჩართულობისა და დასაქმებისთვის. ეს ის უნარებია, რაც პირის პიროვნული და პერსონალური მიღწევებისთვის, ჯანსაღი და მდგრადი ცხოვრების სტილისთვის, სოციალური ინკლუზიისა და რაც მთავარია, დასაქმებისთვის არის აუცილებელი და საჭირო.

ტრენინგ მოდულები ფორმირებულია 4 მიმართულებით:

I. პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენცია არის საკუთარ მოქმედებაზე რეფლექსიის, დროისა და ინფორმაციის მართვის, სხვებთან კონსტრუქციულად მუშაობის, მდგრადობის შენარჩუნების, საკუთარი სწავლისა და კარიერის მართვის შესაძლებლობა.

II. ციფრული კომპეტენცია გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას სწავლისათვის, შრომით საქმიანობასა და საზოგადოებაში მონაწილეობისათვის, მოიცავს ინფორმაციისა და მონაცემების ცოდნას, ციფრული კონტენტის შექმნას (მათ შორის პროგრამირებას), უსაფრთხოებას, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კითხვებს, პრობლემის გადაჭრასა და კრიტიკულ აზროვნებას.

III. სამეწარმეო კომპეტენცია გულისხმობს შესაძლებლობებისა და იდეების გამოყენების და სხვებისთვის მათი ფასეულობებად გარდაქმნის შესაძლებლობას.

IV. მულტილინგვურობის კომპეტენცია ეს კომპეტენცია განსაზღვრავს კომუნიკაციისათვის სხვადასხვა ენის სათანადოდ და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებში ჩართვის სურვილი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოთქვა **727** მოსარგებლემ, რომლებმაც გაიარეს პროფესიული კონსულტირება და განისაზღვრა მათი ჩართულობის საჭიროება.

საკვანძო კომპეტენციების ტრენინგ კურსებში ოთხივე მიმართულებით სწავლა დაასრულა **521** სამუშაოს მაძიებელმა, მათ შორის **379** გახლდათ ქალი, ახალგაზრდა **- 211,** ხოლო შშმ პირი - **32.**

საკვანძო კომპეტენციის ტრენინგ-კურსების დასრულების შემდგომ დასაქმებულია **270** სამუშაოს მაძიებელი.

სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება და პროფესიული გადამზადება გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სამუშაოს მაძიებელი შეძლებს ფეხი აუწყოს შრომის ბაზრის შეცვლილ მოთხოვნებს, მოკლე დროში აიმაღლოს კვალიფიკაცია და წარმატებით დასაქმდეს პროფესიით.

პროგრამის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაოს მაძიებელთა მომზადება.

2022 წელს სასწავლო პროცესში **72** მოთხოვნად პროფესიაზე ჩაერთო **2 517** მოსარგებლე (ქ. თბილისი - **1 225**, აჭარა - **77**; გურია - **143**, იმერეთი - **316**, კახეთი - **194**, სამეგრელო-ზემო სვანეთი - **302**, ქვემო ქართლი - **225**, შიდა ქართლი - **35**), საიდანაც **1 887 -** ქალია. (სხვადასხვა მიზეზის გამო **222** სამუშაოს მაძიებელმა სწავლის პროცესი შეწყვიტა).

2 295 ბენეფიციარიდან (ქალი - **1700**) 2022 წელს სწავლა დაასრულა **1 222** მოსარგებლემ (ქალი- **816**), ხოლო **1 073** (ქალი - **884**) დაასრულებს 2023 წლის პირველ კვარტალში. 2021 წლის კურსდამთავრებულებიდან, 2022 წელს დასაქმდა **55** პირი. 2022 წლის კურსდამთავრებულებიდან დასაქმებულია **663**, რაც 2022 წლის კურსდამთავრებულთა 54% შეადგენს. სულ პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, დასაქმებულია **718** პირი.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის კიდევ ერთი ინსტრუმენტია სტაჟირება - დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ ვაკანტურ ან/და პერსპექტიულ სამუშაო ადგილზე/ადგილებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/სწავლება შემდგომი დასაქმების მიზნით.

2022 წელს, პროგრამის ფარგლებში, სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო **24** დამსაქმებელი (თბილისი - **3** და რეგიონი - 21) და **283** სტაჟიორი. მათ შორის, ქალი - **258**, ახალგაზრდა - **68**, შშმ პირი - **12**; (ქ. თბილისი - **8**, გურია - **6**, იმერეთი - **209**, კახეთი - **3,** სამეგრელო - ზემო სვანეთი - **6**, რაჭა-ლეჩხუმი - **29**, ქვემო ქართლი - **15**, შიდა ქართლი - **7**).

პროგრამაში ჩართულმა დამსაქმებლებმა 34 პოზიციაზე წარმოადგინეს **119** ვაკანტური ადგილი.

სტაჟირების კომპონენტში ჩართული სამუშაოს მაძიებლებიდან დასაქმებულია **151** პირი.

4. საშუამავლო მომსახურება და დამსაქმებელთან ურთიერთობა

საშუამავლო მომსახურების მიზანია დამსაქმებლებისა და სამუშაოს მაძიებლების ერთმანეთთან დაკავშირება და/ან ასეთი დაკავშირების ხელშეწყობა.

2022 წელს **903** დამსაქმებელმა მომართა სააგენტოს და მათ მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწოდებულ იქნა **10 017** თავისუფალი სამუშაო ადგილი.

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილ **10 017** თავისუფალ სამუშაო ადგილზე, საშუამავლო მომსახურების გაწევის/სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის მიზნით, ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა **2 263** სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის, ქალი - **1 264**, ახალგაზრდა **617.**

საშუამავლო მომსახურების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დასაქმების ფორუმები. დასაქმების ფორუმი არის სივრცე, სადაც ერთის მხრივ სამუშაოს მაძიებლებს ეძლევათ შესაძლებლობა ერთ სივრცეში, უშუალოდ დამსაქმებლისგან მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია რამდენიმე ვაკანსიის შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ დამსაქმებელს აქვს შესაძლებლობა ერთ სივრცეში გაესაუბროს რამდენიმე კანდიდატს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 14 დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა დამსაქმებელმა და 2500-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა.

საშუამავლო მომსახურების შედეგად დასაქმებულია 671 სამუშაოს მაძიებელი.

დამსაქმებლებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მექანიზმების აწყობის მიზნით, სააგენტომ დაიწყო ინტენსიური სამუშაო შეხვედრების გამართვა ბიზნეს სექტორის ასოციაციებთან, რა დროსაც ბიზნესის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება მიეღოთ ინფორმაცია სააგენტოს სერვისების შესახებ, ხოლო სააგენტომ მიიღო ინფორმაცია ბიზნესის სამუშაო ძალის მიმართულებით არსებული საჭიროებების შესახებ. ბიზნეს სექტორთან ინტენსიური მუშაობა გაგრძელდება კონკრეტული თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავების მიზნით. შეხვედრებს ესწრებოდნენ: დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ამერიკის სავაჭრო პალატის, საქართველოს საბანკო ასოციაციის, საქართველოს მწარმოებელთა ასოციაციის, დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის, ტურიზმის ასოციაციის, მცირე და საშუალო ბიზნეს ასოციაციის, თურქ ბიზნესმენთა ასოციაციისა და განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციის წარმომადგენლები.

სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე ბიზნეს ოპერატორების დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის მიზნით, სააგენტო სსიპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, შეხვედრები გამართა სოფლის მეურნეობის დარგებში არსებული დარგობრივი ასოციაციების ხელმძღვანელებთან. ანალოგიურად სხვა შეხვედრებისა, დასაქმება, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები იყო აღნიშნული შეხვედრის მთავარი თემა.

5. მოწყვლადი და დაბალკონკურენტიანი სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა

აქტივობის მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი პირების დასაქმების ხელშეწყობის სერვისების დანერგვა.

მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა **245** შშმ პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება. მათ შორის, ქალი - **117**, ახალგაზრდა-**72.** დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შშმ პირთათვის მოძიებული იქნა **78** ვაკანსია.

პროგრამის ფარგლებში დასაქმებულია **47** შშმ პირი.

მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების მიზნით ხორციელდება შრომის ანაზღაურების სუბსიდირების პროგრამა, რომლის მიზანია სამუშაოს მაძიებელი სოციალურად დაუცველი ან დევნილი ახალგაზრდების, შშმ და სსსმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის იდება 9 თვიანი ხელშეკრულება, საიდანაც პირველი 3 თვის განმავლობაში სააგენტო ახდენს შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას ხელფასის 50 პროცენტით, არაუმეტეს თვეში 560 ლარისა.

2022 წელს სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო **6** დამსაქმებელი და **6** შშმ სამუშაოს მაძიებელი. მათ შორის **3** ქალი.

დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების კომპონენტი, რომლის მიზანია დამსაქმებლის მიერ სააგენტოსთან შეთანხმებით, ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის იქნება ადაპტირებული.

კომპონენტის ფარგლებში, პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სააგენტოში შექმნილია სპეციალური კომისია (სამუშაო ჯგუფი). გაიმართა კომისიის სამი სამუშაო შეხვედრა. ასევე შედგა რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან შესაბამისი გამოცდილებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით. შეხვედრა შედგა აგრეთვე დარგის შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ექსპერტთან. რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ შემუშავდა რეკომენდაციები დაცული სამუშაო ადგილის ადაპტირების სახეობების შესახებ, რომელიც დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

2022 წლის სექტემბრის თვეში, დაცული სამუშაო ადგილების ადაპტირების პროგრამის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, ასევე მათგან უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 20-მდე ორგანიზაციამ, რომლებიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობენ შშმ პირებთან, იცავენ მათ ინტერესებს და ასაქმებენ მათ. მათ შორის იყვნენ ე.წ. „სოციალური საწარმოების“, არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე წარდგენილი იყო დაცული სამუშაო ადგილების ადაპტირების ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგები, ყურადღება გამახვილდა თითოეული რგოლის ჩართულობაზე და ინდივიდუალურ საჭიროებაზე.

პროექტი „ESCape - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“

სააგენტო ფრიდრიხ ებერტის ფონდთან (FES), დემოკრატიის განვითარების სააგენტოსთან (DDA) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს - „ESCape - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“.

პროექტის მიზანია თბილისსა და ქუთაისში „რთულად დასასაქმებელი“ სამუშაოს მაძიებლებისთვის სპეციალური, მათ საჭიროებებზე მორგებული, ინტენსიური მხარდაჭერითი მომსახურების შეთავაზება და დასაქმებაში ხელშეწყობა. „რთულად დასასაქმებელ“ კატეგორიას მიკუთვნებული სამუშაოს მაძიებელთა რეფერირება ხდება პარტნიორი ორგანიზაციების სერვის ცენტრებში, სადაც მათ 4-დან 6 თვემდე პერიოდში ინტენსიურად იღებენ მხარდაჭერით მომსახურებას. აღნიშნული პროექტი განკუთვნილია შემდეგი კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფებისთვის: ძალადობის მსხვერპლი ქალები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და ზრუნვიდან ახლად გასული ახალგაზრდები, ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის წყვეტის მქონე პირები, მარტოხელა დედები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები.

პროგრამა EPIC – პროგრამის მიზანია „სოციალურად დაუცველი დევნილების და ადგილობრივი საზოგადოების წევრების ეკონომიკური და სოციალური მონაწილეობის გაუმჯობესება“

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია „GIZ“ -ის EPIC პროგრამის ,,მოწყვლადი დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში და „Action Against Hunger“ (შემდგომში “AAH”) წარმომადგენლობის მხარდაჭერით სააგენტომ დაიწყო AAH-ის მიერ განხორციელებული პროგრამის - „დასაქმების და მეწარმეობის SHUTTLE - მეთოდოლოგიის“ ადაპტირება.

პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოში საჯარო სექტორის წარმომადგენლებს, ახალი და ინკლუზიური დასაქმებისა და სამეწარმეო მიდგომების განვითარებაში.

2022 წელს ზუგდიდისა და რუსთავის მუნიციპალიტეტში, დაიწყო 4 თვიანი „SHUTTLE - მეთოდოლოგია“-იის პილოტური განხორციელება. შედგა 20 კაციანი ჯგუფები და გეგმის მიხედვით ჩატარებულია სესიები. პილოტის დასრულების შემდეგ განიხილება მეთოდოლოგიის დანერგვის საკითხი სხვა რეგიონებში, უფრო მეტი სამუშაოს მაძიებლისთვის.

6. სოციალურად დაუცველ სამუშაოს მაძიებელთა საზოგადოებრივი სამუშაოებზე დასაქმება

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების მიმართ შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება, საზოგადოებრივ სამუშაოების ქვეპროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის გზით. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც არ არის დასაქმებული ან/და რეგისტრირებული თვითდასაქმებული სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზის მიხედვით; აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამა მოსარგებლეებს სთავაზობს სამ ალტერნატივას იმისთვის რომ ისარგებლონ 4 წლიანი ჯავშნის შესაძლებლობით. კერძოდ: - ა) საზოგადოებრივი სამუშაოებზე დასაქმება; ბ) ღია შრომის ბაზარზე დასაქმება და გ) მოსარგებლე რომელიც არაფორმალურად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოახდინოს აღნიშნულის ფორმალიზება; ხოლო თუ მოსარგებლე არ ისარგებლებს არცერთი ზემოაღნიშნული შეთავაზებით, მისი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა დაექვემდებარება ყოველწლიურ გადამოწმებას სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან.

პროგრამა ხორციელდება 2022 წლის პირველი მარტიდან. პროგრამის განხორციელებისთვის დაკომპლექტდა სპეციალისტების გუნდი, რომელთაც დაევალა პროგრამის ადმინისტრირებისთვის საჭირო პროცესების დაგეგმვა, განხორციელება და კოორდინაცია. პროგრამის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნა სპეციალური სარეგისტრაციო სისტემა publicwork.moh.gov.ge. პროგრამის განხორციელების პროცესში სააგენტოს უმთავრეს პარტნიორობასა და მხარდაჭერას უწევდნენ მხარის რწმუნებულები და ადგილობრივი თვითმმართველობები. დასაქმების საინფორმაციო სისტემაში (სარეგისტრაციო პორტალზე) დარეგისტრირდა 1 069 მომწოდებლის მიერ მოწოდებული 30 000-მდე ვაკანტური ადგილი. საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამასთან დაკავშირებით, დასაქმების სააგენტოს მიმართა **71 319** მოქალაქემ. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმდა **29 323** სოციალურად დაუცველი, აქედან ქალი - **15 602.**

აღსანიშნავია, რომ სააგენტომ 2022 წელს განახორციელა ფართომასშტაბიანი მონიტორინგი, მუნიციპალიტეტებსა და შრომის ინსპექციის სამსახურთან ერთად სრულად მოიცვა სპეციალური სარეგისტრაციო სისტემაში (publicwork.moh.gov.ge) რეგისტრირებული დამსაქმებლები და მათთან დასაქმებული პირები, ხოლო აღმოჩენილ შეუსაბამობებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე წერილობით.

ქვეპროგრამის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით სოციალურად დაუცველმა პირმა მოახდინა საკუთარი არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობის ფორმალიზება.

7. შრომითი მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს დროებითი, ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი სქემების განხორციელება.

ცირკულარული შრომითი მიგრაციის მიმართულებით ხელშეკრულებები და შესაბამისი საიმპლემენტაციო ოქმები გაფორმებულია 4 პარტნიორ ქვეყანასთან, კერძოდ: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან, საფრანგეთსა და ბულგარეთთან. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ამ ეტაპზე უშუალოდ მონაწილეობს ორ ქვეყანასთან, ისრაელის სახელმწიფოსთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან არსებული შეთანხმებების განხორციელებაში.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ“ - შეთანხმებას ხელი მოეწერა 2020 წლის 6 თებერვალს, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება დაიწყო 2021 წლის 15 თებერვლიდან, როდესაც გაიხსნა რეგისტრაცია სპეციალურ ელექტრონულ პლატფორმაზე workabroad.moh.gov.ge, ხსენებული შეთანხმების ფარგლებში დასაქმების მსურველი საქართველოს მოქალაქეებისათვის.

2021-2022 წლის განმავლობაში სააგენტოს მიერ, მუნიციპალიტეტების დახმარებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის, სამეგრელო ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, კახეთის რეგიონში გაიმართა 60 ზე მეტი ჯგუფური კონსულტაცია გერმანიის ფედერაციაში საქართველოს მოქალაქეთა დროებით და ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. ინდივიდუალურ გასაუბრებაზე გამოცხადდა **3 400**-ამდე პირი აქედან 2022 წელს **1350.**

2022 წლიდან პროგრამაში გაჩნდა ახალი კომპონენტი, გერმანელ დამსაქმებლებს მიეცათ საშუალება საქართველოს მოქალაქეებთან უშუალოდ დაემყარებინათ კომუნიკაცია და მიეწვიათ გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მიზნით. აღნიშნული კომპონენტის გაჩენით სქემა გახდა უფრო მოქნილი და უფრო მეტ მოქალაქეს მიეცა საშუალება ჩართულიყო პროგრამაში. დამსაქმებლებისგან სახელობითად მოთხოვნილ სამუშაოს მაძიებლები უფრო მოკლე დროში, შედარებით ნაკლები პროცედურების გავლით მიემგზავრებოდნენ და საქმდებოდნენ გერმანიაში. 2022 წელს **1 231** საქართველოს მოქალაქეს მიეცა საშუალება ესარგებლა აღნიშნული სქემით და ჩართულიყო სოფლის მეურნეობის სექტორის სეზონურ სამუშაოებზე.

2020 წლის 30 სექტემბერს, საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის გაფორმდა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ“ ორმხრივი ხელშეკრულება. ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას მოჰყვა 2020 წლის 1 ოქტომბრის სპეციალური განხორციელების ოქმი, რომელიც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს დასაქმდნენ ისრაელში, როგორც დამხმარე მუშაკები ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისათვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში.

აღნიშნულ პოზიციაზე, ისრაელში დასაქმების მსურველთა რეგისტრაციის პროცესი დაიწყო 2021 წლის 12 აპრილს. რეგისტრაციის პროცესმა ცხადყო რომ საჭირო იყო შექმნილიყო

მოკლევადიანი, სპეციალური სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მსმენელს მისცემდა შესაძლებლობას შეეძინა გერიატრიული ასისტენტის სპეციალისტებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შეიქმნა **144** საათიანი სასერტიფიკატო კურსი. დღეის მდგომარეობით აღნიშნული სასწავლო კურსის მიწოდება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თბილისსა და შემდეგ რეგიონებში: ქვემო ქართლში, აჭარაში; იმერეთში; კახეთში, სამეგრელო ზემო სვანეთში, შემდეგ სასწავლო დაწესებულებებში: შპს - არსი; შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია; შპს-კოლეჯი ცხუმ-ეგრისი; შპს - ბათუმის სამედიცინო აკადემია; შპს - მარნეულის კოლეჯი; შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფანასკერტელი"; საზოგადოებრივი კოლეჯი სიო; ინტერბიზნესის აკადემია; (სასწავლო დაწესებულებების ჩამონათვალი არის მუდმივად ცვალებადი.

პარალელურად გრძელდება რეგისტრირებული კანდიდატურების გადარჩევის პროცესი და წინასწარ (არსებული შერჩევის მეთოდოლოგიის საფუძველზე) შერჩეული კანდიდატების ისრაელის მხარისთვის მიწოდება. ასევე, აღნიშნული შესაძლებლობის თაობაზე, მიმდინარეობს საინფორმაციო კამპანია შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან (ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება, კომუნიკაცია პროფილურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მათ კურსდამთავრებულებთან). პირველი ჯგუფი გაემგზავრა 17 პირის შემადგენლობით 2022 წლის 21 დეკემბერს. შეთანხმებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შერჩევის პროცესი არის საკმაოდ ხანგრძლივი. მიღებული გამოცდილების კვალდაკვალ ხდება პროცედურების სრულყოფა საიმისოდ რათა შეთანხმება განხორციელდეს სრულყოფილად და მასში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე პირებმა.

„საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისათვის“ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2013 წლის 12 ნოემბერს. სააგენტო, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობით, უახლოეს მომავალში გეგმავს ზემოხსენებული შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციისათვის უფრო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, თუმცა შეთანხმების ფარგლებში, დღეის მდგომარეობითაც არის შესაძლებელი, რომ კონკრეტული, ხელშეკრულებით გაწერილი პროფესიის მქონე პირი დასაქმდეს საფრანგეთში გამარტივებული პროცედურებით.

ბულგარეთის რესპუბლიკასთან შეთანხმებას კი ხელი მოეწერა 2019 წლის 30 სექტემბერს, ხოლო მისი საიმპლემენტაციო პროტოკოლი გაფორმდა 2021 წლის 30 ნოემბერს. ამ ეტაპზე მხარეებს შორის მიმდინარეობს მუშაობა ხსენებული შეთანხმების განხორციელებისათვის. მუშავდება შესაბამისი ოქმით გათვალისწინებული ტექნიკური პროცედურები, იქმნება სხვადასხვა დოკუმენტები, მიმდინარეობს კონსულტაციები საკოორდინაციო კომისიის დაკომპლექტების მიზნით და სხვა.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ არსებულ შეთანხმებათა იმპლემენტაცია მიმდინარეობს შეუფერხებლად. ქვეყანამ უკვე მიიღო პოზიტიური გამოცდილება. სახელმწიფოთაშორისი სქემების იმპლემენტაციისას მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო უწყების როლი, სრულყოფილად და ზედმიწევნით სამართლიანად აწარმოოს შეთანხმებით განსაზღვრული პროცედურა მოქალაქის საზღვარგარეთ დროებით დასაქმებისთვის, ასევე პასუხისმგებლობის წილი აქვს შეთანხმების მონაწილე მოქალაქესაც, კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, დაიცვას კონტრაქტი და სწორი კუთხით წარმოაჩინოს საკუთარი წარმოშობის ქვეყანა. ამ პროცესის მთავარი მიზანი კი არის ხალხთაშორისი ურთიერთობების გაღრმავება, მეტი ევროპული და წამყვანი შრომითი სტანდარტის გაცნობა ჩვენი მოქალაქეებისათვის, მათ შორის პრაქტიკულ დონეზე და ამის გადმოტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, სხვადასხვა სექტორში. სწორედ ამიტომ, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, მომავალშიც გეგმავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კოორდინაციით, კიდევ უფრო დახვეწოს დროებითი, ლეგალური მიგრაციის სახელმწიფოთაშორისი დასაქმების სქემების იმპლემენტაციის პროცესი და ასევე დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი შეთანხმებები მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკების მქონე, უპირატესად ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. გარდა ამისა, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მსგავსი სქემები ხელს უწყობს არალეგალური მიგრაციის შემცირებას და ახდენს ქვეყნიდან მოქალაქეების ხანგრძლივი ვადით ან მუდმივად გადინების პრევენციას.

8. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის "Worknet"-ის განვითარება.

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის მიზანია სამუშაოს მაძიებლების, დამსაქმებლებისა და მათ მიერ მოწოდებული ვაკანსიების აღრიცხვა. ასევე სამუშაოს მაძიებელთა საკვალიფიკაციო მონაცემების დამუშავება და ანალიზი და სისტემაში რეგისტრირებული ვაკანსიებთან ავტომატური დაკავშირება, ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან თავსებადობის შემთხვევაში.
ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სრულიად ახალი სისტემის შექმნა, რომელიც გამართულად იმუშავებს, შეაგროვებს სტატისტიკურ ინფორმაციას და შეასრულებს საჭირო ანალიტიკურ ოპერაციებს. შრომის ბაზრის მართვის ახალი საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული არიან ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის სპეციალისტები, სააგენტოს, სამინისტროსა და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომდგენლები. ახალი სისტემის დასრულება დაგეგმილია 2024 წლის პირველ კვარტალში.

9. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დონორებთან კოორდინაცია

სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის მექანიზმის განვითარება.

2022 წლის ნოემბერში სააგენტომ გამართა პირველი საკოორდინაციო შეხვედრა საერთაშორისო პარტნიორებთან, რა დროსაც სააგენტომ დონორ ორგანიზაციებს გააცნო ინსტიტუციური განვითარების გეგმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და აქტივობების განხორციელების პროცესში დონორთა ჩართულობისა და მხარდაჭერის პერსპექტივები. შემდგომი შეხვედრა გაიმართება 2024 წლის პირველ ნახევარში.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (EU), მსოფლიო ბანკი (WB), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES), საფრანგეთის განვითარების სააგენტო(AFD), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების ცენტრი (ICMPD), საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია (ILO), გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UNWOMEN), რომელთაც მიეწოდათ სააგენტოს საქმიანობის, სერვისების და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

10. სააგენტოს ინსტიტუციური განვითარება

2022 წელს სააგენტომ შეიმუშავა ინსტიტუციური განვითარების გეგმა. გეგმის შედგენას წინ უსწრებდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის ექსპერტების მიერ ჩატარებული სპეციალური ჩაღრმავებული კვლევები. კვლევები წარიმართა სამი მიმართულებით: სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობა, სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ასევე ადმინისტრაციული პროცესები და ადამიანური რესურსები. კვლევის დროს გამოვლენილი საჭიროებებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავდა სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმა, რომლის შესრულება ეტაპობრივად დაიწყო და აღნიშნულ პროცესში ჩართულები იქნებიან დონორი ორგანიზაციები.

სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების მიზნით კონკრეტული ღონისძიებები ასევე გათვალისწინებულია „ადამიანური კაპიტალის“ ფარგლებშიც. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულება, სხვა აქტივობებთან ერთად ითვალისწინებს თბილისსა და რეგიონებში სრულფასოვნად აღჭურვილი და საჭირო სპეციალისტებით სრულად დაკომპლექტებული სერვისცენტრების არსებობას. 2022 წლისთვის სრულად დაკომპლექტდა თბილისის საქალაქო და რაიონული სერვისცენტრები. მიმდინარეობს მუშაობა, რათა 2023 წლის პირველ ნახევარში ახალი სტანდარტებით გაიხსნას კიდევ 6 რეგიონული სერვის ცენტრი.

გარდა რეგიონული სერვის ცენტრებისა, სააგენტო 2022 წლის მარტის თვიდან წარმოდგენილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალურ დონეზე. მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური მომსახურების ცენტრებში დაინტერესებულ

პირებს შეუძლიათ ასევე მიიღონ კონსულტაცია დასაქმების მიზნით და ჩაერთოს დასაქმების ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებში. სწორედ მუნიციპალურ დონეზე მიწოდებულმა დასაქმების ხელშეწყობის სერვისებმა განაპირობა საზოგადოებრივი სამუშაოების ქვეპროგრამის წარმატებული განხორციელება.

2022 წელს, დასაქმების სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სააგენტომ, ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, ჩაატარა კვლევა - „მომხმარებლების მხრიდან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების შეფასება“. კვლევითი ორგანიზაციის მიერ კვლევის შედეგების წარმოდგენის შემდეგ მოხდება მონაცემების ანალიზი და მასზე დაყრდნობით გაუმჯობესდება სააგენტოს მიერ დასაქმების ხელშემწყობი სერვისების ხარისხი, რათა აღნიშნული სერვისები პასუხობდეს სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა საჭიროებებს.

10.1 საკადრო რესურსების განვითარება

სააგენტომ 2022 წელს გააგრძელა ადმინისტრაციული, შრომითი მიგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტების, ასევე სააგენტოს რეგიონული სერვის ცენტრების (წარმომადგენლები, დასაქმების, კარიერის დაგეგმვისა და მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტები) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება მათი სხვადასხვა მიმართულების ტრენინგებში ჩართვის გზით. 2022 წელს გაიმართა შემდეგი ტრენინგები:

● ,,მოწყვლადი დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (EPIC)“ ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ 5 დღიანი ტრენინგი „ინოვაციური SHUTTLE მიდგომის შესახებ“. ღონისძიების მიზანი იყო სოციალური ინკლუზიის, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშემწყობი SHUTTLE მიდგომის მახასიათებლების შესახებ ტრენინგის მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება, ასევე კონსულტირების ახლებური მეთოდოლოგიის გაცნობა-შესწავლა.

● შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) - ,,დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი (SIYB)" - ფარგლებში, სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს SIYB პროგრამის სასერტიფიკატო ტრენერთა ტრენინგი.

● გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ); მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში, სააგენტოს შრომითი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი შრომითი მიგრაციის მართვის სფეროს მიკუთვნებულ სხვადასხვა თემატურ საკითხებზე.

● მხარდაჭერითი სერვისების მონიტორინგის ფარგლებში, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა „საზოგადოება ბილიკი"-სა და სლოვაკური ორგანიზაცია "TENENET-ის

ერთობლივი პროექტის - ,,შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში" - ფარგლებში, გორში, მცხეთასა და ახალციხეში გამართულ სემინარებში მიიღეს მონაწილეობა.

გარდა ტრენინგების, სააგენტოს კონსულტანტებს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას სასწავლო ვიზიტის ფარგლებში. 2022 წელს შედგა ორი სასწავლო ვიზიტი. ვიზიტები გაგრძელდება 2023 წელსაც. 2022 წლის სასწავლო ვიზიტების დროს გაზიარებულ იქნა ინფორმაცია/გამოცდილება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: საჯარო სამუშაოების პროგრამის მართვის სპეციფიკაციები და მეთოდები; სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მეთოდები; საზოგადოებრივი სამუშაოებით დაფარული სამუშაო ადგილები; დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების მონიტორინგის/ზედამხედველობის მეთოდები.

10.2 სააგენტოს კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის განვითარება

იმისთვის, რომ სააგენტო ფლობდეს აქტუალურ ინფორმაციას საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და კვალიფიკაციების შესახებ, სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებს ვაკანსიების მონიტორინგისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავებას. ვაკანსიების კვლევა და მონიტორინგი ხორციელდება ორი მეთოდით. სააგენტო ამუშავებს ვორქნეტში დარეგისტრირებული ვაკანსიების ანალიზს და სააგენტო ახორციელებს დამსაქმებლების გამოკითხვას, რა დროსაც იღებს ინფორმაციას მიმდინარე და სამომავლო ვაკანტურ ადგილებზე მოთხოვნილი პროფესიებისა და უნარების შესახებ. ვაკანსიების მონიტორინგის კითხვარი და მეთოდოლოგია შემუშავდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ჯგუფის სპეციალისტების მხარდაჭერით.

სააგენტოს კონსულტანტებმა, შრომის ბაზარზე ლოკალურ დონეზე ვაკანსიების მონიტორინგის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში აღრიცხულ 1000-ზე მეტ ორგანიზაციასთან დაამყარეს კომუნიკაცია, რომელთაგან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 223- მა დამსაქმებელმა. გამოკითხული ორგანიზაციები ზომის მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: - მცირე 65,9 %, საშუალო 24,7%, მსხვილი 9,4%.

ასევე განხორციელდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში დამსაქმებლების მიერ შემოტანილი ვაკანტური ადგილების მონიტორინგი. ვაკანსიები დამუშავდა პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) ძირითადი ჯგუფებისა და ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით NACE (კვლევის სრული ანგარიშები იხილეთ აღნიშნულ ანგარიშზე თანდართულ დოკუმენტებში).

ვაკანსიების მონიტორინგის მასშტაბის გაფართოების მიზნით, სააგენტომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით, სააგენტომ დეფიციტური პროფესიების ჭრილში, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შესაბამისი მიწოდების იდენტიფიცირების მიზნით, ჩაატარა კვლევა საქართველოში მოქმედ დიდ და მცირე ზომის ტელევიზიებში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში მოქმედ ტელევიზიებში არსებული ტექნიკური პოზიციების ჩამონათვალის გამოვლენა, რა პროფესიებში ისურვებდნენ ტელევიზიები არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას/გადამზადებას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოღვაწე ტელევიზიები განიცდიან კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას. აგრეთვე გამოჩნდა ის პროფესიები, რომლებიც ყველაზე პრობლემატურია, როგორც არსებული კადრების გადამზადების ასევე ახალი კადრების პოვნის კუთხით. კვლევის შესახებ ანგარიში ატვირთულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

მოთხოვნადი და დეფიციტური პროფესიების იდენტიფიცირების მიზნით, სააგენტო 2023 წელს გეგმავს მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც 5 წლიანი პროგნოზის საშუალებას მოგვცემს. მოთხოვნადი და დეფიციტური უნარებისა და ვაკანსიების კვლევის შედეგების მიხედვით შეიცვლება მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები. აღნიშნული მეთოდოლოგია საშუალებას მოგვცემს პროფესიულმა განათლებამ სამუშაოს მაძიებელს მისცეს სწორედ ის უნარ-ჩვევები რაც სჭირდება დამსაქმებელს. აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავდება „ადამიანური კაპიტალის“ პროგრამის ფარგლებში (საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის 2022 წლის 15 მარტს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება).

11. დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააგენტო წლიდან წლამდე ვითარდება ეტაპობრივად და აუმჯობესებს რესურსებსა და კომპეტენციებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისების შეუფერხებლად მიწოდებისთვის. 2022 წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა რეგიონების დაფარვა სერვისების მიწოდების კუთხით. სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ქვეპროგრამამ სააგენტოს მისცა შესაძლებლობა წარმოდგენილი ყოფილიყო მუნიციპალურ დონეზე და სამიზნე ჯგუფებთან პროაქტიულად ემუშავა მათი პროგრამაში ჩართვის მიზნით. აღნიშნულმა პროგრამამ ასევე დიდი როლი შეასრულა ეკონომიკურად არააქტიური, სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა გააქტიურების კუთხით. საზოგადოებრივი სამუშაოები წარმოადგენს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ღონისძიებას, რომლის მთავარი ფუნქცია გახლავთ ისეთი პირების გააქტიურება, რომლებსაც აქვთ ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის წყვეტა და არ გააჩნიათ შრომის ბაზრისთვის საჭირო

კვალიფიკაცია და უნარები. საზოგადოებრივმა სამუშაოებმა უნდა შეასრულოს ერთგვარი ხიდის როლი უმუშევრობიდან ღია შრომის ბაზარზე დასაქმებამდე.

2023 წელს სააგენტო გააგრძელებს ინსტიტუციურ განვითარებას, რომლის ფარგლებში გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, კონსულტანტებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია, დაიხვეწება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები და გაძლიერდება სააგენტოს კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა. ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის გაზრდაზე და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, 2022 წელს განახორციელა „ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის კვლევა“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორებში საწარმოების არსებული და სამომავლო მოთხოვნის გამოვლენა. დამუშავდა კვლევის მონაცემები, მომზადდა ნარატიული ანგარიში და ფართო აუდიტორიას გაეცნო კვლევის მიგნებები, რომელიც განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე.

ამავე წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა შრომის ბაზრის ყოველწლიური ანალიზის ანგარიში, სადაც წარმოდგენილია დასაქმების სტრუქტურა, დასაქმების სახელმწიფო და კერძო სააგენტოების ვაკანსიების ანალიზი, ქვეყანაში ბოლო პერიოდში შრომის ბაზრის საკითხებზე განხორციელებული კვლევების მიგნებები.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ერთ-ერთი მთავარ მიზანს დასაქმების ხელშეწყობა წარმოადგენს, შესაბამისად, პროფესიული განათლების სერვისები ორიენტირებულია სტუდენტებში დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებაზე. პროფესიული განათლების ფარგლებში, კომპლექსურად მიმდინარეობს მუშაობა დასაქმების ხელშესაწყობად შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა - იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიული განათლება დასაქმების უმოკლეს გზას წარმოადგენს, პროფესიული განათლების უმთავრესი მიზანია სწორედ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ამ მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოება. პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის გაფართოების მიზნით,

ბოლო წლების განმავლობაში, ფუნქციონირება დაიწყო არაერთმა კოლეჯმა ახალ ლოკაციებზე (ჩოხატაური, მარნეული, კასპი, შუახევი, ხულო, ქედა და ა.შ.). 2022 წელს კი დასრულდა საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება ახალ ლოკაციებზე - ხაშურის, წყალტუბოსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში, აღნიშნულმა დაწესებულებებმა აქტიურად დაიწყეს მზადება ავტორიზაციის გასავლელად. ამასთან, დაგეგმილია სამუშაოების გაგრძელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიმართულებით თბილისში, ბორჯომში, ბათუმში, ახალქალაქში, ბოლნისში, გურჯაანსა და ამბროლაურში. აღსანიშნავია, 2022 წელს ახალი კოლეჯების განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 14 100-მდე პირი. ამავე დროს, აზიის განვითარების ბანკის, ევროკავშირის პროგრამის "EU4JOB" და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და უნარების სააგენტოს კოორდინაციით პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო რეფორმის ახალი მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლების გაძლიერებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიმართულებით. რეფორმის მიმართულება ითვალისწინებს საჯარო სკოლების ეტაპობრივ გაძლიერებას, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებამდე. პროექტით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შემდგომ, პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს ისეთ 29 მუნიციპალიტეტში, სადაც აქამდე არ ფუნქციონირებდა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

კვალიფიკაციების განვითარების ახალი მეთოდოლოგია - დასაქმების ხელშეწყობა მოიაზრებს შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზებას დაინტერესებული მხარეებისთვის.. პროფესიული განათლების სისტემაში ჩატარებული თუ შრომის ბაზრის არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ არსებული პროგრამები ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის საჭიროებებს, შესაბამისად, საჭირო გახდა კვალიფიკაციების განვითარების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. GIZ-ის დახმარების შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტომ პარტნიორ უწყებებთან და დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით დაიწყო მუშაობა პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი - „პროფესიული სტანდარტის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ" და მინისტრის ბრძანების პროექტი - „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის შესახებ", რომელთა ინიციირება და ამოქმედება დაგეგმილია 2023 წლის პირველ ნახევარში. ამავდროულად, კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების ახალი მეთოდოლოგიის პილოტირების მიზნით, დარგობრივი უნარების ორგანიზაციების (დუო) ჩართულობით

მომზადდა დარგობრივი რუკების პირველადი ვერსიები 12 ეკონომიკური სექტორისთვის. ამასთან, ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად შეიქმნა 4 პროფესიის სტანდარტისა და საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტები. GIZ-ის დახმარებით უნარების სააგენტომ დაიწყო მუშაობა კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების მხარდამჭერ ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც ხელს შეუწყობს პროცესების მოქნილებას, გამჭვირვალობას და ინკლუზიურობას.

პროფესიული განათლების მართვის თანამედროვე სისტემა - დასაქმების ხელშეწყობა წარმოუდგენელია კერძო სექტორის აქტიური ჩართულობისა და თანამონაწილეობის გარეშე. პროფესიული განათლების განვითარების მიზნისთვის კერძო სექტორის ჩართულობის კრიტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემუშავდა და დაინერგა პროფესიული განათლების განვითარებისა და მართვის თანამედროვე მიდგომები, რომელიც მოიაზრებს არამარტო კერძო სექტორის ჩართულობას, არამედ მის აქტიურ მონაწილეობას პროფესიული განათლების განვითარებისა და მართვის პროცესებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო სექტორთან პარტნიორობით დაფუძნდა ა(ა)იპ-პროფესიული უნარების სააგენტო. სააგენტოს მიერ საანგარიშო პერიოდში, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით შეიქმნა კვალიფიკაციების განვითარების ახალი მოდელი, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების მარეგულირებელი წესის პროექტი, დარგობრივი უნარების ორგანიზაციებისა და სასწავლო საწარმოების მხარდამჭერი მექანიზმები, დაინერგა სტუდენტური სერვისების მხარდამჭერი პროგრამა და სხვა.

დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკისა და სერვისების დანერგვა-განვითარების მიმართულებით კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროცესებში კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა. პროფესიული განათლების განვითარების ახალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს თანამონაწილეობით მართვასა და ჩართულობას, მხარს უჭერს დარგობრივი უნარების ორგანიზაციების განვითარებას და ამ მიზნით, პროფესიული განათლების განვითარების პროცესებში კერძო სექტორის ჩართულობის წარმომადგენლობითობის ხელშეწყობას. დარგობრივი უნარების ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს 416-ე დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა „იურიდიულ პირთა წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დარგობრივი უნარების ორგანიზაციებად რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი განაცხადების განხილვისა და მისი შემდგომი შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი მუშაობის წესი“. კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, 2022 წლის ბოლოსთვის შეიქმნა 9 დარგობრივი უნარების ორგანიზაციის საინიციატივო ჯგუფი ტურიზმის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ენერგეტიკის, ღვინის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და პერსონალური სერვისების, მშენებლობისა და ინჟინერიის, არტიზანისა და სპორტის მიმართულებით.

მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები - დასაქმების ხელშეწყობა მოიაზრებს მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების არსებობას, რომელიც შრომის ბაზრისთვის მოთხოვნადი უნარების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, პროფესიული განათლების სისტემაში ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების დანერგვა-განვითარება, რომელიც ბენეფიციარებს შესაძლებლობას აძლევს, მოკლე დროში გადამზადდნენ/განივითარონ უნარები და დაუბრუნდნენ/ჩაერთონ დასაქმების ბაზარზე. 2022 წელს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩაერთო 5268 პირი. აღნიშნულ მიზანს ემსახურება, ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროგრამები, რომლის ფარგლებშიც, სტუდენტები სწავლის შედეგებს აღწევენ, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე სამუშაო ადგილზე. დუალური პროგრამების რაოდენობის ზრდა პირდაპირ პროპორციულად ნიშნავს იმ სტუდენტების რიცხოვნობის ზრდას, რომლებსაც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისთანავე უკვე აქვთ მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება, რაც შემდგომი დასაქმების უმნიშვნელოვანესი გარანტორია. 2022 წელს დუალური მიდგომით განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთო 550 პირი.

2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მარეგულირებელი ჩარჩო, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა, როგორც სამინისტროსთვის და საგანმანათლებლო სფეროსთვის, ასევე - პარტნიორი კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არის პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის, ხარისხისა და ეფექტიანობის გარანტია. სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართვის შედეგად საწარმოები კოლეჯებთან პარტნიორობით მოამზადებენ მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას, რომელსაც საწარმოს საჭიროებებზე მორგებული უნარები ექნება. სტუდენტები კი რეალურ სამუშაო გარემოში განივითარებენ პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებს და სწავლის პროცესშივე დასაქმდებიან. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში. ამასთან განსაზღვრულია, რომ სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით.

ახალგაზრდა ასაკში შრომის ბაზარზე ტრანზიციისა და პროფესიის დაუფლების შესაძლებლობას იძლევა ინტეგრირებული პროგრამები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტეგრირებული პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია 9 კლასის განათლების მქონე ბენეფიციარებისთვის, პროფესიული განათლების რეფორმის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს. 2022 წელს სტუდენტების მიღება გამოცხადებული იყო 24 ინტეგრირებულ პროგრამაზე საქართველოს ყველა რეგიონში. შედეგად, გასულ წელს ინტეგრირებულ პროგრამებზე ჩაირიცხა 570-ზე მეტი სტუდენტი.

დასაქმების ხელშემწყობი სერვისების განვითარება - პროფესიული განათლების სისტემაში ფოკუსირებულად ვითარდება სხვადასხვა ტიპის, დასაქმებასა და სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობის სერვისები, მათ შორის, კარიერის მართვის სერვისები. ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მოგვიანებით უკვე ა(ა)იპ - პროფესიულ უნარების სააგენტოსთან კოორდინაციით, შემუშავდა და დასამტკიცებლად ინიცირდა ფორმალური განათლების სამივე საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის პროექტები. სტრატეგია უზრუნველყოფს ფორმალური განათლების სფეროში კარიერის მართვის ინკლუზიური პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე, საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების თანაბარი შესაძლებლობის შექმნაზე. 2022 წლიდან პროფესიული უნარების სააგენტომ აქტიურად დაიწყო მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კარიერის მართვის სპეციალისტების უწყვეტი კარიერული განვითარების მოდელისა და შესაძლებლობების განვითარებაზე. ასევე, 2022 წლიდან განახლდა "საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა", რომელიც პანდემიის გამო შეჩერებული იყო და 2022 წლიდან სამინისტროდან გადმოინაცვლა უნარების სააგენტოში.

2022 წელს უნარების სააგენტოს კოორდინაციით განახლდა პროგრამის ორივე მიმართულება - პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო და სერტიფიკატო კურსები. საორიენტაციო კურსები, რომლებიც გამიზნულია მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის, შესაძლებლობას იძლევა სკოლის მოსწავლეებმა საკუთარ სკოლაში მოწყობილ მცირე პროფესიულ ლაბორატორიაში ან ახლომდებარე კოლეჯში საკუთარი ძალები მოსინჯონ სხვადასხვა პროფესიაში, მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროფესიული განათლებისა და მათთვის საინტერესო პროფესიების შესახებ და მიიღონ გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილება. 2022 წელს პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსები განახლდა მთელი საქართველოს მასშტაბით, 435 სკოლაში. ამასთან, 2022 წლის ბოლოს პროფესიული უნარების სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი სასერტიფიკატო კურსებისთვის, რომელთა განხორციელებაც 2023 წელს დაიწყება. საორიენტაციო კურსებისგან განსხვავებით, სასერტიფიკატო კურსები განკუთვნილია მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის და ითვალისწინებს არაფორმალური განათლების ჩარჩოებში პროფესიაში პირველი ნაბიჯების გადადგმას.

საკვანძო კომპეტენციების განვითარება -არაერთი ბოლოდროინდელი კვლევა ცხადყოფს პროფესიული სტუდენტების მიღწევის დაბალ დონეს საკვანძო კომპეტენციების მიმართულებით, რაც იკვეთება პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევაში, ასევე ყოველწლიურად იკვეთება კურსდამთავრებულთა კვლევაშიც. პროფესიული განათლების სისტემაში შემუშავდა და მიმდინარეობს მუშაობა რიგ მარეგულირებელ დოკუმენტებზე, რომელთა მიზანსაც პროფესიული განათლების საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს. 2022 წელს პროფესიული

უნარების სააგენტომ, ევროკავშირის პროგრამის "EU4JOB" ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის „CBLLL" პროექტის ფარგლებში დაასრულა მუშაობა პროფესიული განათლების საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების კონცეფციაზე, ასევე, პროფესიული განათლების საფეხურზე არაფორმალური განათლების განვითარების კონცეფციაზე, რომელიც მეტწილად მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების სერვისებით საკვანძო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე, 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, დაიწყო საპილოტე საგრანტო კონკურსი პროფესიული განათლების საფეხურზე ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვისა და განვითარების მხარდასაჭერად, რომელიც მთავარ მიზანსაც საკვანძო კომპეტენციების განვითარება წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში, საპილოტე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 19 კერძო და საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 22 პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 1500-ზე მეტი სტუდენტი და ადგილობრივი თემის წარმომადგენელი. სტუდენტებსა და თემში მცხოვრებ ახალგაზრდებში საკვანძო კომპეტენციების განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების მხარდაჭერის მიზნით, პროფესიული უნარების სააგენტომ დაიწყო ახალი მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით, არაფორმალური განათლების შერეული და ციფრული კურსების შემუშავებას. 2022 წელს ევროკავშირის პროგრამის "EU4JOB" ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის „CBLLL" პროექტის ფარგლებში უნარების სააგენტომ დაიწყო მუშაობა ციფრული და ფინანსური წიგნიერების კურსების შემუშავებაზე.

კვლევითი კომპეტენციების გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში - პროფესიული განათლების ძირეული მიზნის მიღწევა - დასაქმების ხელშეწყობა რთული მისაღწევია ემპირიული მონაცემებისა და მტკიცებულებების გარეშე, ფართომასშტაბიანი, ეროვნული კვლევები კი არ იძლევა კონკრეტული კოლეჯისა და პროგრამების ფოკუსირებისა და განვითარების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული უნარების სააგენტომ მიზნად დაისახა კვლევითი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. შრომის ბაზრის ადგილობრივი მოკვლევის მექანიზმების დანერგვა, შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებებს კვლევის სანდო და ვალიდური ინსტრუმენტების გამოყენებით რეგიონისა თუ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოიკვლიონ ადგილობრივი შრომის ბაზრის როგორც უკვე არსებული საჭიროებები, ასევე მოიძიონ ინფორმაცია ქმედითი ინსტრუმენტების გამოყენებით დაგეგმილი ინვესტიციების შესახებ და სწორედ აღნიშნული მოკვლევის საფუძველზე დანერგონ და განავითარონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. საანგარიშო პერიოდში აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შემუშავდა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოკვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო, კვლევითი ინსტრუმენტები. ასევე, დასრულდა კვლევითი კომპანიის შერჩევა, რომელიც 2023 წლიდან უნარების სააგენტოს კოორდინაციით იმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აღნიშნული მიმართულებით კვლევითი კომპეტენციების გასაძლიერებლად. ამასთან, დასრულდა მუშაობა ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევისა და კურსდამთავრებულთა კვლევის ახალ მეთოდოლოგიაზე, რომელიც დეცენტრალიზებული კვლევების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც მოიცავდა 2020 და 2021 წლის კურსდამთავრებულებს. კვლევის თანახმად პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 74%-ს. საგულისხმოა, რომ 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტოს კოორდინაციით, ETF-ს პრაქტიკის საფუძველზე შემუშავდა კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი მეთოდოლოგია და კვლევის ინსტრუმენტები. ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კვლევა ჩატარდა დეცენტრალიზებულად, ხოლო საველე კვლევის პარალელურად, პროექტის მეორე კომპონენტი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებას კვლევის შედეგების გამოყენების მიმართულებით, პსდ-ს საქმიანობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

დასაქმების მიმართულებით პროფესიული განათლების საფეხურზე მიმდინარე საქმიანობის პარალელურად, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს აღნიშნულ პროცესს.

ხოლო უმაღლესი განათლების მიმართულებით წლის განმავლობაში განხორციელებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

დასაქმების პოლიტიკა შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვას, მისიას, ღირებულებებს და მიზნად ისახავს არსებული ადამიანური რესურსის ეფექტიანად გამოყენებას, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, შერჩევას, მოტივირებასა და შენარჩუნებას. უნივერსიტეტი აღიარებს, რომ წარმატებული ფუნქციონირებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისათვის გადამწყვეტია ადამიანური რესურსი, ამიტომ ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობას და მობილობას, იცავს აკადემიურ თავისუფლებას, ქმნის სწავლებისა და კვლევითი საქმიანობისათვის კომფორტულ გარემოს. დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას საფუძვლად უდევს სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები, განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები და სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, სტუდენტთა რაოდენობა. დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისას მხედველობაში მიიღება ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსი (როგორც რაოდენობრივი, ასევე პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა), საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, სამეცნიერო კვლევების პრიორიტეტული მიმართულებები, ფაკულტეტების სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები, უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობები.

დასაქმების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს დეტალურად აქვს გაწერილი თითოეული პოზიციისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს ეფექტიანი შესრულებისათვის აუცილებელი პიროვნული და საქმიანი თვისებები, პერსონალის შევსების შესაძლო წყაროები, შესაფერისი კანდიდატების მოზიდვის ადეკვატური მეთოდები. უნივერსიტეტი ვაკანტურ პოზიციებზე საჭირო კანდიდატების მოსაძიებლად იყენებს როგორც შიდა რესურსებს, ასევე გარე წყაროებს. პერსონალის შერჩევა

აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო თუ დამხმარე თანამდებობებზე ხორციელდება ყველა იმ მოთხოვნის დაცვით, რაც გაწერილია საქართველოს შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, ამა თუ იმ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის პირობებით. სამსახურში მიღების პროცედურა არის საჯარო, ღია, გამჭვირვალე, დაცულია თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპები.

2022 წელს კონკურსი გამოცხადდა 54 აკადემიურ, 230-მდე სამეცნიერო, 5 ადმინისტრაციულ, 30 დამხმარე პოზიციაზე, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის 119/2018 დადგენილების მოთხოვნის დაცვით. ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მოწვეულ იქნა 1686 პირი (ლექტორი/მასწავლებელი). საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის ფარგლებში, სოციალური შემწეობის მიმღები, პირების საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების მიზნით, თსუ ჩართული იყო „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“-ში. სპეციალურად შექმნილ პორტალზე განთავსდა - 57 ვაკანსია.

უნივერსიტეტის დასაქმების პოლიტიკაში ერთ-ერთი მიმართულებაა სტაჟირება, რომლის მიზანია ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება უნივერსიტეტის სისტემაში საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. 2022 წელს თსუ-ს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში სტაჟირება გაიარა 126 პირმა. აქედან უნივერსიტეტშივე დასაქმდა 2 პირი, სტაჟიორთა მომავალი დასაქმების მიზნით შექმნილია მონაცემთა ბაზა. დასაქმების პოლიტიკის პრიორიტეტებია არა მხოლოდ მაღალი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე, მოტივირებული პროფესიონალების დაქირავება, არამედ მათ შენარჩუნებასა და განვითარებაზე, კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ყველა კატეგორიის პერსონალისათვის პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა, ღირსეული ანაზღაურების შეთავაზება. უნივერსიტეტი დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად განიხილავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიერ, განხორციელდა რიგი აქტივობები: მოეწყო დასაქმების ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 39 სახელმწიფო და კერძო დამსაქმებელმა, მათ წარმოდგენილი ჰქონდათ 150-მდე ვაკანსია.

წლის განმავლობაში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა: 13 სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამა, რომელშიც ჩართული იყო 1200-მდე სტუდენტი, 32 შეხვედრა პროფილურ დამსაქმებლებთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 700-მდე სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა, სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გაფორმდა 9 მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შემდგომი დასაქმების მიზნით შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება და სხვა.

2023 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, დასაქმების პოლიტიკა წარიმართება თსუ-ს მიერ აღიარებული - სამართლიანობის, თანასწორობის, გამჭვირვალობის, კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის, კეთილსინდისიერებისა და ეთიკურობის პრინციპების დაცვით. 2023 წელს დაგეგმილია უვადოდ და 10 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე არჩეული პროფესორებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლების ატესტაცია - კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობების შესაბამისად.

მიმდინარე წელს დაგეგმილია ასევე კონკურსის გამოცხადება 25 აკადემიურ, 14 სამეცნიერო, 11 ადმინისტრაციულ პოზიციაზე, დამხმარე პოზიციაზე დასაქმებულთა რაოდენობისა და შემადგენლობის ცვლილება მოხდება საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებიდან გამომდინარე, განხორციელდება ლექტორების/მასწავლებლების მოწვევა, წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, მათი რაოდენობა 1550-ზე მეტი იქნება. უნივერსიტეტის დასაქმების პოლიტიკის ერთ-ერთი აქტიური მიმართულება მიმდინარე წელსაც იქნება სტაჟირება, რომლის მიზანია ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის.
2023 წელს „საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ გაგრძელების შემთხვევაში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ ჩართული იქნება აღნიშნულ პროექტში. 2023 წელს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, იგეგმება როგორც საბაზისო მაჩვენებლების გაუმჯობესება, ასევე ახალი აქტივობების განხორციელება: ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება დამსაქმებლის საჭიროებების გათვალისწინებით და მათი მონაწილეობით პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, კარიერის ელჩების პროგრამა - რაც ითვალისწინებს სხვადასხვა კომპანიებში პროფილურად დასაქმებული თსუ-ის კურსდამთავრებულების შეხვედრას სტუდენტებთან, რომლებსაც გაუზიარებენ საკუთარ კარიერულ გამოცდილებას და კომპანიაში კარიერული განვითარების შესაძლებლობას, სამუშაო ადგილებზე ექსპრეს ვიზიტი - რაც გულისხმობს სტუდენტების უშუალოდ სამუშაო პროცესის ადგილზე გაცნობას.

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 წლის ივნისის თვეში შეიქმნა კარიერული განვითარების განყოფილება, რომლის ფუნქციებია:

- სტუდენტთა კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა, დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით რეგულარული ტრენინგ/სემინარების ჩატარება;
- კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით (მათ შორის დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად), ერთიანი ბაზის შექმნა, სამუშაო ადგილების და პოზიციების ჩვენებით. კურსდამთავრებულებთან შეხვედრების ორგანიზება და რეგულარული ტრენინგ/სემინარების შეთავაზება;
- დასაქმების ინტერნეტ-საიტებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის სისტემატურად ჩატარება, შრომის ბაზრის დინამიკასა და ტენდენციებზე დაკვირვება შემდგომი ანალიზის მიზნით და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კონსულტაციების გაწევა მიმდინარე თუ საპროგნოზო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- შრომის ბაზრის კვლევების განხორციელება, დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა ადამიანურ რესურსებზე, მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით და ინფორმაციის საფუძველზე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დახმარება დამსაქმებლებთან ურთიერთობაში;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, მათთან მემორანდუმების დადება, სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამების შემუშავებაში დამსაქმებელთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა და

დამსაქმებელთა ერთიანი ბაზის შექმნა. ასევე, პერიოდული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება უნივერსიტეტსა და კომპანიებში;

- კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის რექტორის ან/და ვიცე-რექტორის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა, თემატურად რელევანტურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;
- მემორანდუმების დადება ქალაქებში/რაიონებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და კომპეტენციის ფარგლებში აბიტურიენტთა პროფესიული ორიენტაციის უზრუნველყოფა;
- წელიწადში ერთხელ დასაქმების ფორუმის ჩატარება;
- წელიწადში ორჯერ (სასწავლო სემესტრის დასაწყისში) პრაქტიკის ფორუმის ჩატარება ფაკულტეტებზე.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შექმნილია შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეული - სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სწორედ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება და კარიერული განვითარება წარმოადგენს.

უნივერსიტეტში **გასულ წელს** აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ, მიეწოდათ ინფორმაცია 300-ზე მეტი ვაკანსიის შესახებ სხვადასხვა მიმართულებით;
- უნივერსიტეტში გაიმართა დასაქმების ფორუმები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე დამსაქმებელმა კომპანიამ. დასაქმების ფორუმს ესწრებოდნენ როგორც სტუდენტები, აგრეთვე რეზიდენტები და კურსდამთავრებულები;
- კარიერის დაგეგმვის, კარიერული განვითარებისა და პოსტდიპლომური სწავლების მიმართულების სწორი დაგეგმვის მიზნით ჩატარდა 20-მდე შეხვედრა სხვადასხვა დარგობრივ მიმართულების წარმომადგენლებთან;
- ჩატარდა ყოველწლიური გამოკითხვა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების (მათ შორის პროფესიით და არაპროფესიით) და პროფესიული განვითარების მაჩვენებლის შეფასების მიზნით;
- განხორციელდა ახალი საკომუნიკაციო პორტალის ფორმირება, რომელიც დამსაქმებლებს, დარგობრივ ასოციაციებს და სამუშაოს მაძიებლებს ერთ სივრცეში გააერთიანებს და გაამარტივებს აღნიშნული პირების კომუნიკაციას.

2023 წელს დაგეგმილია:

- კარიერის დაგეგმვასა და დასაქმების უნარჩვევებზე, აგრეთვე პროფესიულ ორიენტაციაზე ტრენინგების ჩატარება;
- დასაქმების ფორუმის ჩატარება ტრადიციულად გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრში;
- შეხვედრა დამსაქმებლებთან, მემორანდუმის დადება სტუდენტების სტაჟირების და დასაქმების პროგრამების შექმნის და განხორციელების მიზნით;
- დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაცია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო ვაკანსიების მოწოდების მიზნით;

- სტუდენტთა მუდმივი ინფორმირება დასაქმების ბაზარზე არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით;
- დასაქმების ელექტრონული პორტალის ფუნქციონირება მაისის თვიდან;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევა მათი საჭიროებების შესახებ დასაქმების მიმართულებით;
- კარიერული განვითარების მიმართულებით დაგეგმილი საჯარო ლექციები;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების (მათ შორის პროფესიით და არაპროფესიით) და პროფესიული განვითარების მაჩვენებლის კვლევა.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმების მიმართულებით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- უნივერსიტეტში 2008 წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერული მართვის სამსახური;
- სტუდენტთა დასაქმების მიზნით თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- აქვს მჭიდრო ურთიერთკავშირი კურსდამთავრებულებთან და უზრუნველყოფს უნივერსიტეტსა და მათ შორის ეფექტურ თანამშრომლობას, მათ აქტიურ ჩართვას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;
- უზრუნველყოფს პროფესიული პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო ურთიერთკავშირს და ხელს უწყობს სტუდენტთა სტაჟირების პროცესს;
- კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფარგლებში მუდმივად ახდენს დასაქმების მაჩვენებელთა კვლევას, რაც შემდგომში გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა წამყვან საზღვაო დარგის საკრუინგო და დამსაქმებელ კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ სტუდენტთა დასაქმებაზე. საზღვაო აკადემია სისტემატურად მართავს შეხვედრებს კომპანიების დამფუძნებლებთან, დირექტორებსა და მენეჯერებთან.

2022 წლის განმავლობაში ხელი მოეწერა 2 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რის საფუძველზეც ნავიგაციის და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები დასაქმდნენ შემდეგ საკრუინგო კომპანიებში: Columbia Shipmanagement და LUCENT GEORGIA LLC. ამასთან, 2022 წელს დაიწყო და 2023 წ. გაგრძელდება სამუშაო შეხვედრები საკრუინგო კომპანიებთან, რომლებთანაც პრაქტიკაც გაივლის საზღვაო აკადემიის სტუდენტები შემდგომ კომპანიაში დასაქმების პერსპექტივით. ბოლო ორი წლის განმავლობაში პარტნიორ ორგანიზაციებში დასაქმდა 132 სტუდენტი. აღნიშნული კომპანიებია: Marshal Shipmanagment, Lucent Maritime Georgia, Elvictor Crew Management Services Ltd, Georgian Sea Gate, Sea Star Ferries Limited, NSB group, BAHRI. 2021 წელს, საზღვაო აკადემიის ხელშეწყობით 101 სტუდენტი დასაქმდა შემდეგ საკრუინგო კომპანიებში: KOBAN SHIPPING, SEAGATE, Elvictor, COLUMBIA, LUCENT GEORGIA LLC, SEA STAR FERRIES LIMITED, NSB GROUP) ასევე, 2022 წელს, აკადემიის სამმა პარტნიორმა კომპანიამ სასწავლო სტიპენდია გამოყო 14 სტუდენტისათვის: Columbia Shipmanagement, Nautica, Queensway Services Ltd.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ყოველწლიურად, აფინანსებს საზღვაო საცურაო პრაქტიკას. ამ ეტაპისთვის, აღნიშნული პროგრამით დამტკიცებულია 25 სტუდენტი. 2022 წლის 24 ივნისს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ორგანიზებით, „დამსაქმებელთა ფორუმი 2022“ გაიმართა. ფორუმის საგამოფენო ნაწილში, 50-მდე ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის პორტების, საკრუინგო, სასტუმრო, ლოჯისტიკური, ტურისტული, საბანკო, სადაზღვევო და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა, რომლებმაც აქტიური ვაკანსიები წარმოადგინეს. აღნიშნული ღონისძიების ჩატარება იგეგმება 2023 წელსაც, რადგან ფორუმი სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას ერთ სივრცეში გაეცნონ მათთვის საინტერესო ორგანიზაციებს, მიიღონ სასურველი ინფორმაცია და ამასთან, გაეცნონ აქტიურ ვაკანსიებს, რაც ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას.

სისტემატურად ხდება სტუდენტებთან კომუნიკაცია და მათი ინფორმირება დასაქმების შესახებ. მათ, მუდმივად, ელექტრონული ჟურნალის/სოციალური ქსელის მეშვეობით, მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ვაკანსიების შესახებ. 2022 წ., ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა გაიარეს მე-4 კურსის სტუდენტებმა (58 სტუდენტი), როგორც საჯარო დაწესებულებებში, ისე კერძო ორგანიზაციებში, მათ შორის სამშენებლო, საბანკო და სხვადასხვა მომსახურების სექტორებში. 2023 წელს, დამატებით იგეგმება ტრენინგ - სემინარების ჩატარება სტუდენტებისთვის. აღნიშნული ღონისძიებების მიზანია, სტუდენტებს გამოუმუშაოს პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ეფექტური კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები, ამასთან შეძლონ საკომუნიკაციო პროცესების ეფექტურად დაგეგმა და წარმართვა.

2022 წელს სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ან მონაწილეობით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისა და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. მათ შორის:

- „დასაქმების ფორუმი 2022“, რომელშიც მონაწილეობდნენ ოცდაათამდე სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები. აღნიშნული სახის აქტივობა ტრადიციულად, ყოველწლიურად ხორციელდება გორის უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ღონისძიებების ფარგლებში.
- დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს მიერ ორგანიზებული „დასაქმების ფორუმი შიდა ქართლში - 2022“, რომლის თანაორგანიზატორებიც იყვნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის მუნიციპალიტეტის მერია.
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ცალკეული ორგანიზაციებისა და კომპანიების (ლიბერთი ბანკი, კრედო ბანკი, თიბისი ბანკი და სხვ.) წარმომადგენლების შეხვედრა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით პერმანენტულად ხორციელდება სხვადასხვა სახის ვაკანსიების თაობაზე მოპოვებული ინფორმაციის გადაგზავნა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისათვის, ასევე დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის.
- მცირე ბიზნესის განვითარებასთან და ამ სფეროში პროფესიული სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებული შეხვედრა ორგანიზაცია მერსი ქორფსის წარმომადგენლებთან.

- ახალგაზრდული და მოხალისეობრივი აქტივიზმის განვითარების ფორუმი.
- სტუდენტურ აქტივობებთან და დასაქმების ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩატარებული ვორქშოპი.
- შიდა ქართლის შრომითი ბაზრის კვლევის პრეზენტაცია.
- „პროფესიული სასწავლებლების დასაქმების ფორუმი", რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ.
- დასაქმების სივრცის გახსნის ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხეში, რომელიც ჩატარდა სათემო ორგანიზაცია „კომლის თემის" მიერ ისრაელის საელჩოს მიერ დაფინანსებული მაშავის პროგრამის ფარგლებში.

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა როგორც ონლაინ, ასევე პირისპირ შეხვედრები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან, ასევე, ჩატარდა ტრენინგი ვაკანსიის განაცხადის მომზადების, ეფექტური გასაუბრებისა და სამუშაოს ძიების ტექნიკების შესახებ.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს:

- სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია 300-მდე ვაკანსიის შესახებ;
- უნივერსიტეტში გაიმართა 10-მდე საინფორმაციო შეხვედრა დამსაქმებლებთან;
- კარიერის დაგეგმვის, კარიერული განვითარებისა და დამსაქმებლებთან ქცევის უნარ-ჩვევებზე სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდა 200-მდე სტუდენტს;
- კარიერული განვითარების თემატიკაზე გაიმართა 3 საჯარო ლექცია/მასტერკლასი, რომელთაც 500-მდე სტუდენტი დაესწრო;
- ჩატარდა გამოკითხვა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების (მათ შორის პროფესიით და არაპროფესიით) მაჩვენებლის დადგენის მიზნით;
- 50-მდე სტუდენტმა ისარგებლა, უნივერსიტეტსა და სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შორის დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში შექმნილი სპეციალური სტუდენტური სტაჟირების პროგრამით;
- 200-მდე სტუდენტი დაესწრო უნივერსიტეტისა და სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ორგანიზებით გამართულ დასაქმების ფორუმს.

2023 წელს დაგეგმილია:

- კარიერის დაგეგმვასა და დასაქმების უნარჩვევებზე ტრენინგების ჩატარება (ტრენინგს გაივლის 300-მდე სტუდენტი);
- შეხვედრა დამსაქმებლებთან, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის და სტუდენტზე მორგებული ვაკანსიების შექმნის საკითხებზე;
- დამსაქმებლებთან მუდმივი კომუნიკაცია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო ვაკანსიების მიწოდების თაობაზე;
- სტუდენტთა მუდმივი ინფორმირება დასაქმების ბაზარზე არსებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით;

- კარიერული განვითარების თემატიკაზე დაგეგმილია 6 საჯარო ლექცია (დაესწრება 800-მდე სტუდენტი);
- დაგეგმილია დამსაქმებლებისა და წარმატებული კურსდამთავრებულების 10-მდე მასტერკლასი სტუდენტებისათვის (დაესწრება 500-მდე სტუდენტი).

4. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით, ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამებს და პროექტებს მთელი საქართველოს მასშტაბით. მიმდინარე ღონისძიებები ღირებულებათა ჯაჭვის თითქმის ყველა რგოლს მოიცავს, რომელიც ხელს უწყობს და პირდაპირ კავშირშია რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების ზრდის ხელშეწყობასთან.
ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით და მხარდაჭერით 2022 წელს მიმდინარეობდა შემდეგი პროგრამები/პროექტები: „დანერგე მომავალი“, აგროდაზღვევის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი, მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA), კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამები, ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა, სოფლის განვითარების პროგრამა (UNDP), საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, საპილოტე პროგრამა ქალებისთვის.

სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება განხორციელებული პროექტების ფარგლებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით სოფლის მეურნეობის დარგში ინვესტიციის ჯამურმა მოცულობამ **6,17 მილიარდი ლარი** შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება **1,53 მილიარდი** ლარია. 2022 წელს ჯამში სულ **25 703** ბენეფიციარს გაუფორმდა ხელშეკრულება.

2022 წელს, თანამედროვე ხეხილის ბაღები გაშენდა დამატებით 3 857 ჰექტარზე. სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა - პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნის ფარგლებში დაფინანსდა 88 ბენეფიციარი, მათ შორის მაღალმთიან დასახლებებში - 8. ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს დახმარება მიიღო 74-მა კომპანიამ. პროგრამა მოიცავს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, ბრენდირებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებას, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 38-მა ქალმა ბენეფიციარმა მიიღო თანადაფინანსება სასათბურე მეურნეობის მოწყობისათვის.

2022 წელს განხორციელდა 30 254 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, 16 465 ჰექტრის სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, 31.2 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია და 6 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის, ჩაის წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობებით აღჭურვა, 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის პროდუქციის შემნახველი/სასაწყობე ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება, 254 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

2022 წელს „რთველის მხარდაჭერის პროგრამისთვის" 100 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. ჯამში საქართველოს მასშტაბით გადამუშავდა 257 ათას ტონამდე ყურძნის მოსავალი, მევენახეებმა შემოსავლის სახით 270 მილიონამდე ლარი მიიღეს. ასევე, განხორციელდა 73 269 ტონა არასტანდარტული ვაშლის გადამუშავება, 14 ხილის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ, სახელმწიფო სუბსიდიამ 5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიური გარემოს შექმნისა და დაბალანსებული მდგრადი განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსებას, საანგარიშო პერიოდში თანადაფინანსება მიიღო 43-მა ბენეფიციარმა. პროგრამა ხორციელდება 4 საპილოტე რეგიონში: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

2022 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 326,651 ფერმერს დაერიცხა აგროქულები. დარიცხული სუბსიდიის ოდენობა ჯამში შეადგენს 39 მილიონ ლარს. ქულების გამოყენება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად სპეციალიზებულ მაღაზიებში.

საანგარიშო პერიოდში, ,,მწვანე საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა 106 ბენეფიციარი, რაც ითვალისწინებს სოფლად მცხოვრები ოჯახებისა და არსებული ბიზნეს სექტორისთვის ენერგოეფექტური/განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების დანერგვაზე წვდომის გამარტივებას.

მომავალ წლებში გაგრძელდება ყველა ის პროგრამა/პროექტი, რომელიც მიმართულია აგროსასურსათო სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისაკენ. ასევე, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით დაიგეგმება ახალი დასაქმების ზრდის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება.

სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოში „დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილების შესაბამისად, 2022 წელს სრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმდა 511 პირი. მონიტორინგის სპეციალისტის დამხმარე პოზიციაზე აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭის, სამეგრელოს რეგიონებში. აღნიშნული პირები ჩართული იყვნენ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში, რომლის ფარგლებში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2022 წელს სამეგრელოს, აჭარის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის 36 მუნიციპალიტეტში დაამუშავა 251 108 ჰექტრამდე ფართობი. სპეციალური სადგურები დამონტაჟდა ტყის პერიმეტრებზე, სოფლის შიდა გზებსა და საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ; დამონტაჟდა

ასევე 86 491 ფერომონი. მავნებლის გავრცელების კონტროლის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა მონიტორინგი (განთავსდა 6451 ფერომონიანი დამჭერი).

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო სატყეო სფეროს პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა მეტყევეების მოზიდვის მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს იმ სასწავლო დაწესებულებებთან, რომლებსაც აქვთ სატყეო ფაკულტეტი და სატყეო საქმის შემსწავლელი პროგრამები. მათგან რამდენიმე უნივერსიტეტთან და კოლეჯთან გაფორმებულია მემორანდუმი საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც გულისხმობს სასწავლო დაწესებულებების სატყეო სფეროს შემსწავლელი სტუდენტების სააგენტოში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლას. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აკრედიტაცია გაიარა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამამ „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“. ამ მიმართულებით სააგენტოში გადამზადდა და მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებულები იყვნენ ახალგაზრდა მეტყევე სპეციალისტები.

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო, სხვა უწყებების მსგავსად, ჩართულია „დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით განსაზღვრულ პროექტში. 2022 წელს დასაქმდა 259 სოციალურად დაუცველი პირი (დამხმარე სპეციალისტი - 238, დარაჯი - 18, დამლაგებელი - 3); ტერიტორიული სატყეო სამსახურების წარმომადგენლები მათ უწევდნენ კონსულტაციებს სამუშაოს სპეციფიკის შესახებ დაკისრებული მოვალეობების კვალიფიციურად და ეფექტურად შესრულების მიზნით. 2022 წლის პერიოდში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით განხორციელებულ 24 ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 168 თანამშრომელმა.

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს 2023 წლის საკადრო პოლიტიკის გეგმა მოიცავს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას, გადამზადებას, მიმართულებების მიხედვით სტაჟირების გზამკვლევის მომზადებას.

შპს - საქართველოს მელიორაციაში „დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით განსაზღვრულ პროექტის შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში არსებულ სერვის ცენტრებში მარეგულირებლის პოზიციაზე დასაქმდა 76 სოციალურად დაუცველი მოქალაქე, რასაც წინ უსწრებდა მათთვის ადგილებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ფუნქციების გაცნობა, დაკისრებული მოვალეობების კვალიფიციურად და ეფექტურად შესასრულებლად, სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი თანამშრომლების მიერ მათთვის სამუშაოს სპეციფიკის დაუფლებაში დახმარება.

მელიორაციის სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, შპს საქართველოს მელიორაცია გეგმავს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებთან თანამშრომლობას. კერძოდ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან უკვე, გაფორმდა ხელშეკრულება საგანმანათლებლო სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის აგროინჟინერიის

საბაკალავრო, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების კომპანიაში საწარმოო პრაქტიკის გავლას. ამავე მიზნით, დაინტერესებულ პირებს, აქვთ სტაჟირების გავლის საშუალება ორგანიზაციის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში.

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთ-ერთ პრიორიტეტი აგრარული და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობაა.

2022 წლის განმავლობაში, დასაქმების პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრმა განახორციელა ტრენინგები გარემოსდაცვითი მიმართულებით:

- „გარემოსდაცვითი მმართველის“ 5-დღიანი კურსი წარმატებით დაასრულა 49 მონაწილემ.
- ტრენინგი ოზონდამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ეროვნულ რეგულირებასა და საკანონმდებლო ბაზის შესახებ გაიარა სამაცივრე მოწყობილობების სერტიფიცირებულმა ტექნიკოსებმა (24 მონაწილე).

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ სერტიფიცირება მიენიჭა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების 39 ტექნიკოსს.

სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ასევე ახორციელებს ტრენინგებს ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის აგრარული მიმართულებით. ფერმერთა შესაძლებლობებისა და თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, 2022 წელს გადამზადდა 1299 პირი, კერძოდ:

- მესაქონლე კოოპერატივების წარმომადგენლებისთვის გაიმართა 2-დღიანი ტრენინგი ცხოველთა ჯანმრთელობასა და კვებაში (14 მონაწილე);
- ვეტერინარიის ტრენინგ-კურსი გაიმართა N16 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებისთვის (2 მსჯავრდებული);
- მემცენარეობის ტრენინგ-კურსი (ჟოლო, მარწყვი, გოგრა, პომიდორი, ლობიო, ქინძი,მწვანილები) გაიმართა N8 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებისთვის (6 მსჯავრდებული);
- ნუშის წარმოების აგროტექნოლოგია გაიარა 47-მა მონაწილემ;
- სიმინდის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები გაიარა 44-მა მონაწილემ;
- ლურჯი მოცვის წარმოების აგროტექნოლოგია გაიარა 56-მა მონაწილემ;
- თანამედროვე სასათბურე მეურნეობის მოწყობა გაიარა 47-მა მონაწილემ. ქარსაფარი ზოლების მოვლა-გაშენება გაიარა 41-მა მონაწილემ;
- მეფრინველეობა - ქათმის მოშენება, ჯიშები, კვება, დაავადებები და პრევენცია გაიარა 49 მონაწილემ;
- ტრენერთა ტრენინგი მეფუტკრეობის მიმართულებით გაიარა 17-მა მონაწილემ.

ტრენინგი თემაზე: ფუტკრის დაავადებების იდენტიფიკაცია, დაავადებებთან ბრძოლის მეთოდების გაცნობა-დანერგვა, საფუტკრეებში ჩასატარებელი სეზონური სამუშაოების დაგეგმვა-ჩატარება, მავნებლებთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები - 955 მეფუტკრე-

ფერმერი. მეფუტკრეობის 4-დღიანი ტრენინგ-კურსი გაიმართა მსჯავრდებულებისთვის (21 მონაწილე).

2022 წელს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა სამი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის - „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“, „გარემოსდაცვითი მმართველი“ და „სასოფლო-სამეურნეო სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა“ - განხორციელების უფლება მოიპოვა, რომელთა განხორციელება იგეგმება 2023 წელს და წარმატებით დასრულების შემდგომ მსმენელს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

2023 წელს ასევე დაგეგმილია 2 ახალი პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება. დაინტერესებული პირებისთვის ასევე გაგრძელდება ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

ვაკის რაიონი

2022 წლის 07 მაისს HR hub-ის ორგანიზებით, ვაკის პარკში გაიმართა დასაქმების და განათლების მასშტაბური ფესტივალი. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სამსახურის მაძიებლების დაკავშირება დამსაქმებლებთან და დასაქმების ხელშეწყობა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 70-მდე კომპანია აქტიური ვაკანსიებით. ვაკის რაიონის გამგეობამ უზრუნველყო მის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება და ინფორმაციის გაზიარება ზემოხსენებული ღონისძიების შესახებ, რითაც ხელი შეუწყო მოქალაქეთა დასაქმებას.

ვაკის რაიონის გამგეობა ჩართულია „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით განსაზღვრული საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში.

2022 წელს ვაკის რაიონის გამგეობის მიერ შეიქმნა 18 ვაკანსია, რომელიც განთავსდა შესაბამის პორტალზე. ვაკის რაიონის გამგეობის მხრიდან განხორციელდა იმ ბენეფიციართა დასაქმება, რომლებმაც ამ მიზნით მიმართეს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს. რაც შეეხება 2023 წლის გეგმას, ვაკის რაიონის გამგეობა უწყვეტად არის ჩართული „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილებით განსაზღვრული საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამაში და 2023 წლის მანძილზე შესაბამის პორტალში განთავსებული აქვს 16 ვაკანსია.

ვაკის რაიონის გამგეობა თანამშრომლობს, „ნიკორა“-სთან და ,,სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-თან. კომპანიებში ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში მათი მხრიდან ხორციელდება ვაკის რაიონის გამგეობის ინფორმირება. მოქალაქეთა შემდგომი დასაქმების მიზნით ვაკის რაიონის გამგეობის მხრიდან ხდება მსურველების მოძიება და შესაბამისი მონაცემების მიწოდება კომპანიების წარმომადგენლებისთვის.

2022 წლის მანძილზე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა დასაქმების ფესტივალი და ფორუმი, რომლის მიზანიც იყო ახალგაზრდებისათვის, სამუშაოს მაძიებელთათვის და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევარი პირების დასაქმების ხელშეწყობა. ვაკის რაიონის გამგეობის თანაორგანიზებით, დასაქმების ფორუმში მონაწილეობა მიიღო ვაკის რაიონის მოსახლეობამ. ვაკის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრა ჩატარდა ვაკის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის ეზოში, სადაც მოქალაქეებისათვის მოხდა სხვადასხვა კომპანიაში არსებული ვაკანსიების შეთავაზება. ასევე, ვაკის რაიონის გამგეობამ მოახდინა მოსახლეობის ინფორმირება სააგენტოს მიერ ,,ექსპო ჯორჯიაში“ დაგეგმილ დასაქმების ფესტივალთან დაკავშირებით.

საბურთალოს რაიონი

სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე, 2022 წლის განმავლობაში, საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ, დასაქმებული იყო 61 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი.

რაც შეეხება 2023 წელს, დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 63 ბენეფიციარი.

ჩუღურეთის რაიონი

სახელმწიფო დასაქმების პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე, "მიმწოდებელ" ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ, 2022 წელს დასაქმებული იყო 22 "მოსარგებლე" (ბენეფიციარი). რაც შეეხება 2023 წელს, დღეის მდგომარეობით, ასევე, დასაქმებულია 22 "მოსარგებლე" (ბენეფიციარი).

მთაწმინდის რაიონი

„დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“შესაბამისად, პროგრამის მიმწოდებელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2022 წელს განისაზღვრა 20 ვაკანსია და დასაქმდა 13 მოქალაქე (მოსარგებლე), ხოლო 2023 წელს განსაზღვრულია 20 ვაკანსია და ამჟამად დასაქმებულია 12 მოქალაქე (მოსარგებლე).

კრწანისის რაიონი

სახელმწიფო დასაქმების პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე, "მიმწოდებელ" კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ, 2022 წელს დასაქმებული იყო 13 "მოსარგებლე" (ბენეფიციარი). რაც შეეხება 2023 წელს, დღეის მდგომარეობით, ასევე, დასაქმებულია 12 "მოსარგებლე" (ბენეფიციარი).

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებულთა შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2022 წელს დასაქმებული იყო 65 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს იგეგმება 90 ბენეფიციარის დასაქმება.

გლდანის რაიონი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მიერ საზოგადოებრივ სამუშაოზე 2022 წელს დასაქმებულია 10 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს იგეგმება დამატებით 30 ბენეფიციარის დასაქმება.

ნაძალადევის რაიონი

სახელმწიფო დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოზე, 2022 წელს დასაქმებული იყო 11 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს იგეგმება დამატებით 15 ბენეფიციარის დასაქმება.

ნაძალადევის რაიონი

2022 წელს მიმწოდებელი ორგანიზაციის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის,მიერ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებული იყო 12 ბენეფიციარი. 2023 წელს, დღევანდელი მდგომარეობით, დასაქმდება 13 ბენეფიციარი.

სამგორის რაიონი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის მიერ საზოგადოებრივ სამუშაოზე 2022 წელს დასაქმებული იყო 11 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს იგეგმება დამატებით 30 ბენეფიციარის დასაქმება.

მესტიის მუნიციპალიტეტი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მხარს უჭერს დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას და ცდილობს სამეწარმეო საქმიანობისთვის მაქსიმალურად მიმზიდველი გარემოს შექმნას, როგორც ადგილობრივი ასევე, უცხოელი მეწარმეებისთვის ,რასაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებიც.

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ქვეპროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის მონაცემებით გამოცხადებულია 270 ვაკანსია, აქედან 177 პირთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება. ასევე ეტაპობრივ რეჟიმში მიმდინარეობს ახალი ვაკანსიების შექმნა, მოძიება და გამოცხადება.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურული (მათ შორის ჰიდროელექტრო სადგურებზე) პროექტების ფარგლებში კომპანიებს რეკომენდაცია ეძლევათ შესაბამისი ადგილობრივი კვალიფიციური კადრების დასაქმების შესახებ.

ასევე, მესტიის მუნიციპალიტეტს აქვს ტურიზმის , როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის განვითარების მაღალი პოტენციალი, რეგიონში ეტაპობრივად ვითარდება სხვადასხვა სახის ტურიზმი, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კერძო სექტორში ადგილობრივი კადრების დასაქმების და თვითდასაქმების საკითხს. მიმდინარე წლის განმავლობაში იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, მიღებული დაფინანსებით დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეძენა . დაფინანსება შესაძლებელს გახდის დაბა მესტიაში და ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წლიდან ამოქმედდეს პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ჩამოსულ ვიზიტორებს, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი კადრების დასაქმების საკითხს. პროექტს თანადაფინანსებას გაუწევს მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების და შემდგომში კვალიფიციური კადრების შექმნის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებს. აქედან აღსანიშნავია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პირველკურსელთა თანადაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2013 წლიდან დღემდე დაფინანსებულია 670 სტუდენტი. 2022-2023 წწ-ში კი აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 120 000 ლარამდე, რაც ითვალისწინებს თითოეულ სტუდენტზე თანადაფინანსების თანხას 1500 ლარის ოდენობით.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური მოქალაქეების მხრიდან მომართვიანობის შემთხვევაში დახმარებას უწევს დასაქმების მაძიებლებს სასურველი სამუშაოს მოძიების მიზნით რეზიუმეს (CV) შედგენასა და დასაქმების საიტზე რეგისტრაციის საკითხში, ასევე დაინტერესებულ პირებს ინფორმაციას აწვდიან მუნიციპალიტეტში არსებულ პროფესიული სასწავლებლების მიერ გამოცხადებულ, პროფესიული სასწავლო კურსის შესახებ.

ამასთან, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნდა ა(ა)იპ - მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა, რომლის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა და მათზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება/ადვოკატირება; მესტიის ახალგაზრდული სტრატეგიის განვითარება და აღსრულება; მესტიის მუნიციპალიტეტში ჰარმონიული გარემოს და პოზიტიური სტიმულების შექმნა ახალგაზრდების განვითარება და გაძლიერებისთვის და სხვ.

მარტვილის მუნიციპალიტეტი

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში და მარტვილის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში 2022 წელს დასაქმებული იყო სხვადასხვა პოზიციაზე 745 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 791 ბენეფიციარი.

სენაკის მუნიციპალიტეტი

,,დასაქმების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობებს საქმიანობაში. 2022 წლიდან საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სააგენტოს პარტნიორს სოციალურად დაუცველ პირებთან კომუნიკაციის კუთხით, ასევე უზრუნველყოფს უწყებებს შორის ეფექტური კოორდინაციას. მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული მხარეა, როგორც საზოგადოებრივი სამუშაოების მომწოდებელი.

აბაშის მუნიციპალიტეტი

აბაშის მუნიციპალიტეტში 2022 წელს „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებული იყო 493 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი.

„დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობს დასაქმების სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობას და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში და საჭიროების მიხედვით მოხდება ვაკანსიების დამატება.

ხობის მუნიციპალიტეტი

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელს უწყობს დასაქმების ღონისძიებების განხორციელებაში.

მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ სამუშაოებზე 2022 წელს დასაქმდა 377 სოციალურად დაუცველი პირი, მათ შორის 7 შშმ პირი. მომავალში დაგეგმილია ვაკანსიების დამატება საჭიროებების გამოვლენისას.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ჭიათურის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრში“ დასაქმდა 83 (ოთხმოცდასამი) სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი, ხოლო შპს „ჭიათურის წყალში“-7(შვიდი) ბენეფიციარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს შემდეგი ვაკანსიები:

●ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

- 2022 წელს ჩართული იყო 4 პირი, ხოლო დღეის მდგომარეობით ჩართულია 4 პირი, აქედან 3 საარქივო სამუშაოების დამხმარედ და 1 შენობის დასუფთავებისთვის;

ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ სამუშაოებს:

●შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“

- 2022 წელს ჩართული იყო 4 პირი, ხოლო დღეის მდგომარეობით ჩართულია 5 პირი, ბეჭდური გამოცემების გავრცელებისთვის;

● არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური

- 2022 წელს ჩართული იყო 292 პირი, ხოლო დღეის მდგომარეობით ჩართულია 271 პირი, სამხედრო საფლავების, მემორიალის, მასობრივი საფლავების, სასაფლაოების მოწესრიგების, დაკრძალვის ადგილის მოვლისათვის, მანქანების რეცხვისათვის, ტერიტორიის კეთილმოწყობის, გამწვანების, დასუფთავებისათვის(პირუტყვის მოვლა პატრონობა);

● ა(ა)იპ - მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა - შენახვის ცენტრი

- 2022 წელს ჩართული იყო 62 პირი, ხოლო დღეის მდგომარეობით ჩართულია 56 პირი, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სერვისების ექსპლუატაციის დროს დამხმარე სამუშაოებზე;

● ა(ა)იპ - ამბროლაურის ტურისტული ცენტრი

- 2022 წელს ჩართული იყო 9 პირი, ხოლო დღეის მდგომარეობით ჩართულია 8 პირი ტერიტორიის კეთილმოწყობის და დასუფთავებისთვის.

დღეის მდგომარეობით დასაქმების პროცესი კვლავ მიმდინარეობს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობს და ხელს უწყობს სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში. 2022 წლის აპრილის თვიდან აქტიურად არის ჩართული სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების პროგრამის განხორციელების პროცესში, რომელიც სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას ითვალისწინებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის დებულებით განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების მსურველთა აღრიცხვა და უფლებამოსილების ფარგლებში დასაქმებაში ხელშეწყობა.

2022 წელს აღრიცხული იქნა დარგში დასაქმების და სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მსურველები, რამაც გამოიწვია პროგრამებში მონაწილეობის მსურველი ბენეფიციარების ზრდა წინა წლებთან შედარებით. ასევე მერიის ხელშეწყობით თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ტექნიკური ხასიათის სამუშაოებზე დასაქმებული იქნა 20-მდე ახალგაზრდა. მერია აგრძელებს ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

2022 წელს ხარაგაულის რაიონში დასაქმების ხელშეწყობის პროგრამით მუნიციპალიტეტში შვიდ ა(ა)იპ-ებში: ა(ა)იპ - დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება. ა(ა)იპ - ე.კიკნაძის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება; ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრ;. ა(ა)იპ - კულტურისა და ხელოვნების ცენტრი. ა(ა)იპ - მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი. ა(ა)იპ - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და ა(ა)იპ - სათნოების სახლში დასაქმდა 1 215 ადამიანი. დასაქმებულებს მონიტორინგს უწევდა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ პირთა სამსახურში გამოცხადების და დაკისრებული მოვალეობის შესრულების მონიტორინგის მიზნით შექმნილი კომისია. გამოკვეთილ უმნიშვნელო დარღვევებზე გაიცა რეკომენდაციები. 2023 წელში დასაქმება მუნიციპალიტეტში გაგრძელდება საჭიროებიდან გამომდინარე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობს და ხელს უწყობს სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში. გასული წლის აპრილის თვიდან აქტიურად არიან ჩართული სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის განხორციელების პროცესში, რომელიც სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას. ამავდროულად, მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ადგილობრივი (სოციალური, ეკონომიკური, კულტურის, განათლების და სხვა) პროგრამები თავის მხრივ შეიცავენ გარკვეულ ღონისძიებებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობას ემსახურება.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ მოსარგებლე მოქალაქეთა რაოდენობა 2022 წელს შეადგენს 72, ხოლო 2023 წელს იგეგმება 80 მოქალაქის დასაქმება.

ვანის მუნიციპალიტეტი

ვანის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში", საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმდა 450 სოციალურად დაუცველი. (სასაფლაოს მომვლელი, მეეზოვე, გზის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2022 წელს შექმნა 577 ვაკანსია და დასაქმებულ იქნა ამავე რაოდენობის სოციალურად დაუცველი პირი. 2023 წლის გეგმის თანახმად, შეიქმნა 553 ვაკანსია და დღეის მდგომარეობით, დასაქმებულია 514 სოციალურად დაუცველი პირი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ხელს უწყობს დასაქმების ღონისძიებების განხორციელებაში.

2022 წელს ჩაერთო მერიის დაქვემდებარებაში მყოფი კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირები, ესენია:

შპს - ბათუმის ავტოტრანსპორტი;

შპს - ბათუმის წყალი;

შპს - სანდასუფთავება;

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური;

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სპორტული ცენტრი;

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სასაფლაოები;

ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო;

ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ 2022 წელს შეიქმნა 1 191 ვაკანსია, დასაქმდა 148 ბენეფიციარი. 2023 წელსაც მიმდინარეობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტში დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2 არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ

პირსა და 1- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში 2022 წლის განმავლობაში დასაქმებული იქნა 71 მოქალაქე.

2023 წელში აღნიშნული პროგრამის შესაბამისად გამოცხადებული იქნა 54 ვაკანსია. მიმდინარე პერიოდისათვის დასაქმებულია 21 „მოსარგებლე“ რომელთა ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაძლებელია მიმდინარე წელს დამატებით 33 „მოსარგებლე“ პირის დასაქმება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 4 - არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსა და 2 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში - 2022 წლის განმავლობაში დასაქმებული იქნა 53 მოქალაქე.

2023 წელში აღნიშნული პროგრამის შესაბამისად გამოცხადებული იქნა 49 ვაკანსია. მიმდინარე პერიოდისათვის დასაქმებულია 39 ,,მოსარგებლე“, რომელთა ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2023 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შესაძლებელია მიმდინარე წელს 7 ,,მოსარგებლე“ პირის დასაქმება.

ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას და ამ მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს სსიპ აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილებასთან.

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. შესაბამისად აღნიშნულისა, ბოლო წლებია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება ოფიციალურ პირობადაა გაწერილი, ანალოგიური პრინციპით გაგრძელდება დასაქმების პოლიტიკის განხორციელება მიმდინარე წელშიც.

ახალციხის მუნიციპალიტეტი

ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის ხელშეწყობის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 10 იურიდიულ პირთან, დასაქმებულია 124 სოციალურად დაუცველი პირი. ზემოხსენებული ა(ა)იპ-ების მხრიდან, აღნიშნული კუთხით ვაკანტურ პოზიციებზე ვაკანსიების გამოცხადება, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის დოკუმენტი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი ჩართულია და მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტი

ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტოში 2022 წელს დასაქმებული იყო 115 ბენეფიციარი, წელს დასაქმებულია 105. ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურში 2022 წელს დასაქმებული იყო 40 ბენეფიციარი, წელს დასაქმებულია 42. ა(ა)იპ - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში 2022 წელს დასაქმებული იყო 5 ბენეფიციარი, მიმდინარე წელს დასაქმებულია 18.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ.“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის №81 დადგენილების თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან კოორდინაციით 2022 წლის ნოემბერში განახორციელა დასაქმების პროცესის და დასაქმებულთა მიერ სამუშაოების შესრულების მონიტორინგი.

კასპის მუნიციპალიტეტი

კასპის მუნიციპალიტეტში 2023 წლის იანვრის თვეში „კასპის კეთილმოწყობამ“ და ა(ა)იპ - სოფლის წყალმა ხელშეკრულება გაუგრძელა ჯამში 41 ბენეფიციარს. ასევე, დამატებით იგეგმება 10 ბენეფიციარის დასაქმება.

ასპინძის მუნიციპალიტეტი

ასპინძის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამით დასაქმებული იყო 425 ბენეფიციარი, ხოლო მიმდინარე წლის 26 იანვრის მდგომარეობით გაფორმებულია ხელშეკრულება 382 ბენეფიციართან და სამუშაოების მიხედვით ეტაპობრივად ხდება ვაკანსიების გამოცხადება და შევსება.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია აწარმოებს დასაქმების მსურველ პირთა ბაზას. კერძო სექტორში არსებულ ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებისთანავე, მერია ახდენს დასაქმების მსურველ პირთა ინფორმირებას და დამსაქმებლებთან დაკავშირებას.

ასევე გაცნობებთ, რომ დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან პროექტად მიიჩნევა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის გადაცემა. მშენებლობის პროცესი აქტიურ ფაზაშია. პროფესიული სასწავლებლის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში როგორც პედაგოგთა

დასაქმებას, ასევე პროფესიული განათლებით ახალგაზრდების დაინტერესებას და პროფესიის დაუფლებას, რაც არის გარანტი მათი დასაქმებისა. სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების სახელმწიფო, მასშტაბური პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან განხორციელდა ბენეფიციართა ინფორმირება საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული პროგრამით მერიის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულია 59 ბენეფიციარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობას სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში. მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ-ებში შექმნილ იქნა ვაკანსიები ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე მერიის ორგანიზებით მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი პირებისთვის დასაქმების საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება. დასაქმების პოლიტიკის დაგეგმვასა და მის განხორციელებაზე მიმდინარეობს მუშაობა.

ქარელის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტი აქტიურად იყო ჩართული სოციალურად დაუცველების სამუშაო მაძიებელთა ინფორმირებაში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამუშოს მაძიებლებისთვის საჭირო ინფორმაციისა და კონსულტაციების მიწოდების კუთხით. მერის რწმუნებულები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად არიან ჩართული ზემოთ ხსენებულ საკითხში, ზედამხედველობას უწევენ შესრულებულ სამუშაოებს და ინფორმაციას აწვდიან ქარელის მუნიციპალიტეტის მერიას დაქვემდებარებულ ა(ა)იპ - ქარელის კეთილმოწყობის ცენტრს. მომავალი წლის გეგმებთან დაკავშირებით გაცნობებთ რომ, ქარელის მუნიციპალიტეტის მერია კვლავაც გამოთქვამს მზადყოფნას აქტიური მონაწილეობა მიიღოს დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზებაში.

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

2022 წელს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის N81 დადგენილების საფუძველზე, დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 66 ბენეფიციარს გაეწია სათანადო მომსახურება, რომლებიც დასაქმდნენ შრომის ბაზარზე. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ა(ა)იპ - ბაგა-ბაღების გაერთიანება, ა(ა)იპ - სპეციალური სერვისები, შპს - ქართული ტრადიციები-2011 კოორდინირებული თანამშრომლობით. ა(ა)იპ - ბაგა-ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული

იქნა 61 ბენეფიციარი, მათ შორის: /დამლაგებელი-13; მეეზოვე-8; მრეცხავი-40/ ა(ა)იპ - სპეციალურ სერვისები - 2 ბენეფიციარი, მათ შორის: /მეეზოვე-1; დარაჯი-1/ შპს - ქართული ტრადიციები -3 ბენეფიციარი-/სასაფლაოს დამლაგებელი/ პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროგრამა მიმდინარეობს ხარვეზების გარეშე, დასაქმებული ბენეფიციარები დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ დამაკმაყოფილებლად. გრძელდება აღნიშნული პროგრამის ხელშეწყობა და ბენეფიციარების მომართვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება მათი სათანადოდ მომსახურება კომპეტენციის ფარგლებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტი

სახელმწიფო პროგრამით - ,,სოციალურად დაუცველი პირების ჩართვა საზოგადოებრივ სამუშაოებში" - ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაქმდა 795 მოსარგებლე ბენეფიციარი. ამ პროგრამაში მომუშავე ბენეფიციარების მიერ გაწეული მუშაობით მნიშვნელოვნად გამოსწორდა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა: გაიწმინდა სასოფლო გზები, არხები, მოწესრიგდა ცხაურები, გატანილი იქნა ყველა დასაქმებული პუნქტიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები, მოწესრიგდა სკვერები, გაისხლა მცენარეები, გასუფთავდა ელექტროგაყვანილობის ხაზები, გაიწმინდა და მოწესრიგდა სპორტული მოედნები, სასაფლაოები. ქალაქის ტერიტორიაზე სისტემატურად ხდება ქუჩების დასუფთავება, მოწესრიგდა არსებული დაწესებულებების შენობები და ეზოები. მუნიციპალიტეტი ახდენდა და კვლავაც გააგრძელებს ამ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მონიტორინგს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სააგენტოს უწყობს ხელს დასაქმების ღონისძიებების განხორციელებაში, კერძოდ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სამუშაოს მაძიებელ მოსახლეობას აძლევს ინფორმაციას სააგენტოს მხრიდან საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ, მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო კურსის შეთავაზებაზე, ასევე მის ნაწილობრივ და სრულ დაფინანსებაზე, დამსაქმებლისათვის დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე.

თიანეთის მუნიციპალიტეტი

დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებული ჰყავდა 349 ბენეფიციარი, მათ შორის 17 შშმ ბენეფიციარი, ხოლო 2023 წლის მდგომარეობით დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიას

სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმებული ჰყავს 343 ბენეფიციარი, მათ შორის 14 შშმ ბენეფიციარია.

მცხეთის მუნიციპალიტეტი

,,დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში", მცხეთის მუნიციპალიტეტში დასაქმდა 250 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მოქალაქეთა დასაქმება განახლდა 2023 წლის იანვრის თვიდან და გაგრძელდება მიმდინარე წლის განმავლობაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის ფარგლებში 2022 წელს დაასაქმა 942 მოქალაქე, მათგან 5 შშმ პირი. 2023 წელს ამ მიმართულებით მერიის აქტივობა კვლავაც გრძელდება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით საკრებულომ დაამტკიცა „მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესი, წინამდებარე წესი განსაზღვრავს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესს და პირობებს, რომლის მიზანია უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოთა პოტენციური კადრების გამოვლენა, გადამზადება, და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შინმოვლის სერვისი, სადაც ოცდაათამდე ხანდაზმულ ბენეფიციარს სთავაზობენ ისეთ სერვისებს, როგორიცაა: სახლის დალაგება, ეზოს მოვლა, დარეცხვა-დასუფთავება, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებებთან მუნიციპალიტეტში საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და ინვესტიციების მოსაზიდად.

მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფ პირებთან შეხვედრები, გაიმართა კონსულტაციები, განემარტათ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული ორგანოების და დასაქმებულების კომპეტენციები და უფლება მოვალეობები. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულია 229 სოციალურად დაუცველი პირი. ხორციელდება მოსარგებლეებთან შეხვედრების ორგანიზება, მათ საჭიროებებზე უფლებებზე და ვალდებულებებზე ინფორმაციის მიწოდება. მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის ასევე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების (შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში) მიერ აქტიურად მიმდინარეობს დასაქმებულების მონიტორინგი, დაფიქსირებული შეუსაბამობების შემთხვევაში ხდება შესაბამისი აქტების შედგენა, რეკომენდაციების გაცემა.

დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ტურისტული ზონების, სკვერების, ბაღების დასუფთავების საკითხის მოწესრიგება.

რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს მოსარგებლეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, გაიზარდა მოტივაცია მუნიციპალიტეტში უფრო მნიშვნელოვან სამუშაოებზე წარმოაჩინონ თავიანთი შესაძლებლობები.

ონის მუნიციპალიტეტი

2022 წელს, ონის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ქვეპროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ადგილები. დღეის მდგომარეობით, დასაქმდა და ხელშეკრულება გაუფორმდა 279 მოსარგებლეს. მიმდინარე წელს, ონის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ქვეპროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მიზნით, შეიქმნა 190 სამუშაო ადგილი და გამოცხადდა ვაკანსია. დღეის მდგომარეობით, დასაქმდა და ხელშეკრულება გაუფორმდა 185 მოსარგებლეს. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან ერთად იგეგმება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ვაკანსიის გამოცხადება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

2022 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ინიციატივით გამოცხადდა ვაკანსიები, სადაც სულ დასაქმდა 70 სოციალურად დაუცველი პირი/ბენეფიციარი, აღნიშნული პოზიციები ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით წარმოდგენილი იქნა ტერიტორიული ადგილმდებარეობების გათვალისწინებით, როგორც ქალაქ მარნეულის, ასევე ადმინისტრაციული ერთეულების შესაბამისად, რამაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო დასაქმების მსურველთა კონტინგენტს, მათთვის მისაღებ პოზიციაზე დასაქმებას სხვადასხვა მიმართულებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის განმავლობაშიც გრძელდება დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დასაქმება, მიმდინარე ეტაპზე დასაქმებულია 62 ბენეფიციარი.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დასაქმდა 105 სოციალურად დაუცველი პირი.

2023 წლიდან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში კვლავ გრძელდება სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმება და დღეის მდგომარეობით გაფორმდა სოციალური ხელშეკრულება 36 პირთან.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უფრო მეტი სამუშაო ადგილის შექმნის მიზნით მერია და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები აქტიურად არიან ჩართული

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების პროცესში და ყოველდღიურად აცხადებენ კონკურსს სხვადასხვა მიმართულებით.

2023 წლის განმავლობაში დაგეგმილია 100-150 ბენეფიციარის დასაქმება.

დმანისის მუნიციპალიტეტი

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ სამუშაოებზე, 2022 წლის თებერვლიდან დღემდე დასაქმდა 707 მოქალაქე. ასევე გრძელდება საზოგადოებრივი მოთხოვნების შესაბამისი ვაკანსიების შექმნა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საზოგადოებრივ სამუშაოებზე გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამის ა(ა)იპ-ებში 2022 წელს დასაქმებული იყო 126 სოციალურად დაუცველი მოქალაქე. ასევე გაცნობებთ, რომ კვლავ გრძელდება მუშაობა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების თვალსაზრისით.

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი, საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ღონისძიებებს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ისეთ სფეროებში როგორიც არის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით - ჯანმრთელობის დაცვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით შექმნილია მუნიციპალური სამსახურები სადაც დასაქმებულია 2000 ადამიანზე მეტი. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმების მსურველი მოქალაქეების მომართვის საფუძველზე ხდება მათი მონაცემების დამუშავება და შესაბამისი სპეციალობების მიხედვით მათთვის სარეკომენდაციო წერილების მომზადება სხვადასხვა კერძო კომპანიებში დასაქმების მიზნით. ბოლნისის მუნიციპალიტეტში კერძო სექტორში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია, ,,არემჯი ჯგუფი“, სადაც 3000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

რაც შეეხება თვითდასაქმებას, მუნიციპალიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობა და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებთან ერთად მოსახლეობას თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე მოჰყავთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქცია და ეწევიან მათ რეალიზაციას.

ასევე, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას უზრუნველყოფენ ის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებენ სხვადასხვა მსხვილ და მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

2022 წლიდან მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო სოციალურად დაუცველების დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში და დღეის მდგომარეობით საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებულია 400- ზე მეტი ბენეფიციარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დასაქმდა 493 პირი. 2023 წლის განმავლობაში დაიგეგმა პროგრამით მოსარგებლე 700 პირის დასაქმება.

თელავის მუნიციპალიტეტი

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დაასაქმა 77 სოციალურად დაუცველი პირი. მიმდინარე წელს იგეგმება 150 სოციალურად დაუცველი პირის დასაქმება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქალთა ეკონომიური გაძლიერების მიზნით 2022 წელს ჩატარებული აქტივობებია:

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ და გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად მოქალაქეთა ეკონომიური გაძლიერებისა და შემდგომი დასაქმების მიზნით გასვლითი შეხვედრები გამართა სოფლებში: სოფ. გურჯაანი, ძირკოკი, ჭანდარი, კაჭრეთი, ვეჯინი, ზემო კაჭრეთი, მელაანი, ნანიანი, არაშენდა, ქოდალო, დარჩეთი, ჩუმლაყი, ყიტაანი (ეთნიკური უმცირესობით დასახლებულია), ზეგაანი, ახაშენი, კალაურში და ვაჩნაძიანში. ადგილობრივ მოსახლეობას და ძირითადად ქალებს მიეწოდათ ინფორმაცია მიმდინარე სახელმწიფო პროგრამა ,,აწარმოე საქართველოს“ შესახებ. აღნიშნულ შეხვედრაზე მოსახლეობას ასევე მივაწოდეთ ინფორმაცია მუნიციპალური სერვისის ,,ქალთა ოთახის“ და იმ მოქმედი სოციალურ პროგრამების შესახებ, რომლითაც მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობა მიმდინარე წლის განმავლობაში. აღნიშნულ შეხვედრებს ჯამში დაესწრო ექვსასამდე მოქალაქე. (ქალი-540, კაცი-60).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწვეული იყვნენ კოლეჯ ,,აისის“ წარმომადგენლები. შეხვედრა გაიმართა საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან და დაწყებითი კლასის მშობლებთან. ფოტო და ვიდეო მასალის საშუალებით დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია კოლეჯ ,,აისის“ მიმდინარე სასწავლო პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომლითაც უზრუნველყოფილები არიან სტუდენტები. შეხვედრის მიზანი იყო ქალების მოტივაციის ამაღლება პროფესიის და უნარების შესაძენად დასაქმების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდა დაახლოებით 150 ადამიანი (ქალი-115, კაცი - 35).

16 ივნისს სოფელ ვაჩნაძიანის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო შეხვედრა სემინარი ფსიქოლოგ თამარ საგინაშვილსა და სოფლად მცხოვრებ ქალებს შორის თემაზე: ,,როგორ გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები და გავიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი“.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი ჩაერთო თელავის დასაქმებისა და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ფორუმში, გურჯაანის მერიის ორგანიზებით მოხდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები დასაქმების მსურველი მოქალაქეების მობილიზება და შეხვედრაზე დასწრების ორგანიზება,მონაწილეები გაეცნენ ორგანიზაციების მიერ გამოტანილი ვაკანსიების ჩამონათვალს და შეავსეს მათთვის სასურველი ვაკანსიები. ჯამში შეხვედრას დაესწრო ოცამდე მოქალაქე.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო პრემიერის მიერ ინიცირებულ სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებას, აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა და საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 2000 მოქალაქემ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით ა(ა)იპ - ერთად რეალური ცვლილებებისთვის წარმომადგენლები ახორციელებენ ევროკავშირის პროექტს ,,გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა“, რომელიც გაგრძელდება მიმდინარე წლის განმავლობაში. პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ქალთა უნარების გამოვლენასა და გაძლიერებას მათი დასაქმების მიზნით.

ადიგენის მუნიციპალიტეტი

2022 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმდა 18 ახალი კადრი (საჯარო მოხელე 8, ხელშეკრულება 10) 2023 წელს დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 4 ახალი კადრი და ასევე იგეგმება დასაქმება მერიაში არსებულ 10 ვაკანტურ პოზიციაზე;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის წყალმომარაგების სამსახურში დასაქმდა 71 ახალი კადრი, 2023 წელს გეგმაშია 17 ახალი კადრის დასაქმება;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის სამსახურში დასაქმდა 6 ახალი კადრი, 2023 წელს გეგმაშია 1 ახალი კადრის დასაქმება;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის კულტურის ცენტრში დასაქმდა 3 ახალი კადრი, 2023 წელს იგეგმება 4 ახალი კადრის დამატება;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის სკოლამდელი აღზრდის სამსახურში დასაქმდა 11 ახალი კადრი, 2023 წელს გეგმაშია ახალი კადრების დასაქმება, მხოლოდ რაოდენობა ამ ეტაპზე დაზუსტებული არ არის;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურში დასაქმდა 87 ახალი კადრი, 2023 წელს გეგმაშია 26 ახალი კადრის დასაქმება;

2022 წელს ა(ა)იპ - ადიგენის სამუსიკო სკოლის სამსახურში დასაქმდა 3 ახალი კადრი, 2023 წელს იგეგმება 2 ახალი კადრის დამატება;

ა(ა)იპ - ადიგენის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში დასაქმდა 2 ახალი კადრი, 2023 წელს იგეგმება 1 ახალი კადრის დამატება;

ახმეტის მუნიციპალიტეტი

2022 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ 15 (თხუთმეტი) ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 1147 ადამიანი, ამასთან ერთად დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფ 11 (თერთმეტი) ორგანიზაციაში 2022 წლის განმავლობაში დასაქმდა 561 ბენეფიციარი. 2023 წელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფოს პროგრამაში და რეგულარულად ხდება ვაკანსიების განახლება საჭიროებიდან გამომდინარე.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

,,დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სიღნაღის მუნიციპალიტეტში ამოქმედდა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ხუთ ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 351 ადამიანი. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტი მიმდინარე წელსაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას და დამატებით 100-მდე ბენეფიციარს დაასაქმებს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

2022 წლის მარტიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დაიწყო სოციალურად დაუცველი პირებისათვის საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის განხორციელება და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა. ამ
მიზნით ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრში შეიქმნა 280 ვაკანსია. იმ პირებთან, რომლებიც დარეგისტრირდნენ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დედოფლისწყაროს რაიონულ განყოფილებაში, ა(ა)იპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრმა გააფორმა შრომითი ხელშეკრულება და 236 ვაკანსიაზე დასაქმდნენ სასაფლაოს მომვლელების, მეეზოვეების, ელექტრიკოსების, დამლაგებლებისა და დამხმარეების პოზიციებზე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში, მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. რაც შეეხება 2023 წლის გეგმას, ზემოთხსენებულ პოზიციებზე დამატებით დასაქმდა კიდევ 22 ბენეფიციარი და ხელშეკრულება კვლავ გაუგრძელდა 236 ბენეფიციარს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია კვლავ აქტიურად აგრძელებს დასაქმების ხელშეწყობას და ამ მიმართულებით გეგმავს, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.